ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ორშაბათი, 26 დეკემბერი, 2011 №306 (5686) ფასი: 30 თეთრი

24 დეკემბრიდან
„ახალი თაობა“+
ჯეიმს ჰედლი ჩეიზი
„დათარსული კაცი“
წიგნი და გაზეთი ერთად 2,5 ლარი



# ვინ უხდის ნაციონალებს ფულს



გვ. 3

მმართველმა გუნდმა აქტივისტების მობილიზება დაიწყო

## ილია II-ს აღსაყდრების 34 წლისთავი ივანიშვილმა სამებაში მიულოცა



გვ. 3

რატომ დატოვა პრეზიდენტმა ტაძარი უკომენტაროდ

## რამაზ საყვარელიძე: „პარტია ვალდებული არ არის, იყვიროს, ვისგან მიიღო დაფინანსება“



გვ. 5

## ლალი მოროშკინა თავისუფალია

ვინ დატოვებს საახალწლოდ ქართულ ციხეებს



გვ. 4

## თამარ იოვაშვილი: „ედეპე იდეებს გვპარავს“

გვ. 6





გვ. 6

## სად მიდის ივანიშვილის ფინანსები?

გიორგი შენგელაიამ ბიზნესმენს გუნდის ახალი სახეებით შევსება ურჩია



გვ. 2

## გოგა ხაინდრავა: „ხელისუფლება არჩევნებს ველარ გააყალბებს!“

ახლა ერთმანეთის ცოდვების ჩიჩქნის დრო არ არის



გვ. 4

## მურმან დუმბაძე: „სამი დღე გვაშიმშილეს“

რა ჩვენებას იძლევა მურმან დუმბაძე ვანო მერაბიშვილის უწყების წინააღმდეგ

გვ. 5

## „თორთლაძის განცხადებაზე კომენტარის გაკეთება არ შეიძლება!“





## პარლამენტის „ნდობის ჯგუფი“ თავდაცვის მინისტრს შეხვდა

გვ. 2

ISSN 1987-9385
9 771987 938006

5 რკინიგზას მოსახლეობის კუთვნილი მიწის ნაკვეთების მითვისებაში ადანაშაულებენ

11 „ვალოდია, მადლობა, წადი!“

11 აზერბაიჯანში უცხოური „საპნის ოპერები“ აკრძალეს

9 ბარსიას ბოლო მაისია

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# გოგა ხაინდრავა: „ხელისუფლება არჩევნებს ველარ გააყალბებს!“

## ახლა ერთმანეთის ცოდვების ჩიჩქნის დრო არ არის

ნათია ხურცილავა

**გოგა ხაინდრავა აცხადებს, რომ ქვეყანაში ორი პოლიტიკური პოლუსი ჩამოყალიბდა, რაც მთელი ამ ხნის განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო.**

***– ბატონო გოგა, არჩევნების წინ ორი პოლუსი ჩამოყილიბდა, რაც ალბათ მნიშვნელოვანია. როგორ შეიძლება პროცესები განვითარდეს?***

– თავისთავად ის ფაქტი, რომ ორო პოლუსი ჩამოყალიბდა საქართველოში ეს ძალიან მნიშვნელოვანია, შემიძლია გითხრათ ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც მოხდა მთელი ამ წლების განმავლობაში. ნათლად დადასტურად, რომ ეს უკვე შემდგარი ფაქტია. ეს ძალიან დიდ იმედს აძლევს ქართველ საზოგადოებას. ჩვენ შევძლებთ იმ გზით გავაგრძელოთ სიარული, რომლითაც მივდიოდით მიუხედავად იმისა, რომ რადიკალურ ოპოზიციას გვეძახდნენ. რადიკალებს გვეძახიან, მაგრამ ჩვენი რადიკალობა სასაცილოა, რადგან სიტყვის იქით არ ვრცელდება. რადიკალური ალბათ ის არის რაც ათენში, პარიზში, ბერლინში ხდებოდა, თორემ ის, რაც თბილისში ხდებოდა რადიკალური არასდროს არ ყოფილა. ვიმეორებ, ჩვენგან ძლადობა არსაოდეს არ იყო, პირიქით ძალადობის მსხვერპლი ვიყავით მუდამ. მიუხედავად ამისა მაინც ამ გზით მივდიოდით. მიუხედავად ჩემი პატივისცემისა პოლიტიკური ოპოზიციისადმი აქამდე რეალური შანსი არ ჩანდა. ვერ ვხედავდი იმ შანსს, რომ ეს მონსტრი არჩევნებით დაგვემარცხებიან. ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ ტექტონური ძვრა მოახდინა ქართველ საზოგადოებაში. დარწმუნებული ვარ ამ შანსში. ამიტომ ჩემი თხოვნა და მიმართვა იქნება ყველა პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენლებისადმი, რომ თავი დავანებოთ იმ ტოტის ჭრას თავი, რომელზეც ყველანი ვსხედვართ. ნებსით თუ უნებლიეთ, მოგვწონს ეს თუ არ მოგვწონს. პიროვნული, საკუთარი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებისა და ერთმანეთის ცოდვების ჩიჩქნის დრო არ არის. დღეს არის გაერთიანების დრო იმ იდეის გარშემო, რომელიც აქვს ბიძინა ივანიშვილს. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ორგანიზაციულად ვიქნებით გაერთიანებული თუ არა, არც იმას აქვს მნიშვნელობა იქ, შუშის შენობაში დაგპატიჟებენ თუ არა. ჩვენ ხომ ჩვენი გზა ვიცით. ჩვენი ამოცანა ვიცით და წლების განმავლობაში ამ გზით მივდივართ. ყველამ ამ მიმართულებით ვიაროთ. თუ ეს მწყობრი სვლა არ იქნება ეს არ შეაფერხებს ამ იდეას.

***– თქვენ ამბობთ, თუ ოპოზიციური ერთობა არ მოხდა ეს არ შეაფერხებს ამ პროცესს?***

– რა თქმა უნად. ოპოზიციის ერთობა შეუძლებელია, ისევე როგორც მე ოჯახი არ ვიცი საქართველოში, რომ ყველა ერთი მიმართულებით ფიქრობდეს. ოჯახში არის დამოკიდებულების, მსოფლმხედველობის განსხვავება და ბუნებრივია, რომ პოლიტიკურ ოპოზიციაში ეს თავისთავად იქნება, მაგრამ ეს არ არის საბაბი იმისთვის, რომ საკუთარი გზა ჩავხერგოთ. დღეს ჩვენი მიზანია, რომ ერთხელ და სამუდამოდ ერთმმართველობის სიმბოლო დავანგრიოთ. პლურალიზმი და აზრთა სხვადასხვაობა, რა თქმა უნდა, მხოლოდ მაშინ არის შედეგიანი, როდესაც ამის რეალური საფუძველი არსებობს. ამის საფუძველი კი ყველამ ერთად უნდა შევქმნათ.

***– „ქართული ოცნების“ პრეზენტაციაზე ბევრი მეტ რადიკალიზმს ელოდა...***

– რას ნიშნავს რადიკალიზმი. გამოცხადებულია ამოცანა და მიზანი, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა. მე ამისი მომხრე ვიყავი ყოველთვის. ზედმეტმა პრანჭიაობებმა მიგვიყვანა იმ მდგომარეობამდე, რა მდგომარეობაშიც აღმოვჩნდით. დღევანდელ ვითარებაში თუ ვინმე ახალ მემარჯვენეებსა და ქრისტიან-დემოკრატებს ოპოზიციად თვლის, აღარ ვსაუბრობ თორთლაძეზე და დანარჩენებზე, ეს ჩემთვის სასაცილოა. როგორც მკვდარზე „ვენოკი“, ისე ახლდნენ ტრუფალდინო თარგამაზე და დავით გამყრელიძე ლონდონში სააკაშვილს. რას აჩვენებდნენ მთელ ევროპას, რომ ოპოზიცია და ხელისუფლება ერთიან დემოკრატიულ სახელმწიფოს აშენებენ? რა თქმა უნდა, არა. პირადი გამორჩენა, 30 ვერცხლი – ეს არის ძირითადი საფასური ამ ნაბიჯების.


გოგა ხაინდრავა

***– ქართველი ამომრჩეველი აქცენტს მაინც ქარიზმატულ ლიდერზე აკეთებს, რაც, როგორც ამბობენ, ნაკლებად აქვს ივანიშვილს. რას იტყვით?***

– თუ ქარიზმატულობაზე, ამ ტერმინზე არის საუბარი, მაშიან ბიძინა ივანიშვილს ქარიზმატულობა არ აკლია. არც საქართველოში და არც მსოფლიოს მასშტაბით. მე ვფიქრობ, ერთ-ერთი გამორცეული ფიგურაა, როგორც ფინანსისტი, ამას მთელი მსოფლიოს საფინანსო წრეები აღიარებენ და ხაზს უსვამენ. პოლიტიკოსად ჩამოყალიბებას დრო უნდა, ჩვენ ყველაფერი გვეჩქარება. ორ თვეში ბავშვი არ დაიბადება, მაგას ცხრა თვე უნდა მინიმუმ შვიდი. ასევე არის პოლიტიკაში. რაღაც გზა არის გასავლელი. ჩამოსაყალიბებელი არის სტრუქტურები, ძალიან დიდი საჭიროებების პაკეტი. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება სერიოზულ შედეგზე საუბარი, მაგრამ ფაქტი, რომ ორი პოლუსი გაჩნდა, თანაც მყარად, რომელიც ყველას ესმის, უკვე იმის მანიშნებელია, რომ ეს პროცესი ქართველი ხალხის გამარჯვებით დასრულდება. თან იმას, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ სააკაშვილს თავისი სარჩევო გზის 70 პროცენტი გავლილი აქვს და ბიძინა ივანიშვილის ჯერ არც დაუწყია, მე ვფიქრობ, რომ ძალთა თანაფარდობა შეიძრა. შეიძრა ოპოზიციის მხარეს და არა ხელისუფლების მხარეს.

***– თუ არჩევნები გაყალბდა?***

– არჩევნები ველარ გაყალბდება.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ არჩევნების გაყალბება შეიძლებოდა გულგრილ და სამმაგი სტანდარტების პირობებში, რომელიც მსოფლიო საზოგადოებას ჰქონდა საქართველოში არჩევნებისადმი. 2008 წლის 5 იანვრის არჩევნების ტოტალურად გაყალბების ბედი ბუშმა გადაწყვიტა, რომელმაც 2008 წლის 6 იანვარს მიულოცა გამარჯვება სააკაშვილს, მაშინ, როდესაც თარხნიშვილმაც კი ვერ გაბედა ამის თქმა. კარგად გახსოვთ, რომ სამი დღე შედეგებს ვერც აქვეყნებდნენ, რაზე დაყრდნობით მიულოცა ბუშმა გამარჯვება სააკაშვილს? საკუთარი მიზნების განხორციელების მიზნით. არანაირ დემოკრატიას, არანაირ ფასეულობებს, ღირებულებებს ადგილი არ ჰქონია. პრაგმატული გათვლა იყო. მათ სჭირდებათ პლაცდარმი, როგორც ერთ, ისე მეორე იმპერიას. ეს პლაცდარმი არის საქართველო. სხვათა შორის, იმავე დღეს მიულოცა პუტინმაც. ამ პლაცდარმის ბატონ–პატრონი დღეს არის ადამიანი, რომლისთვისაც არანაირი ფასეულობები, ღირებულებები არ არსებობს საკუთარი კეთილდღეობის გარდა. ეს ადვილად არის გამოსაყენებელი, ამიტომ იყო უკიდეგანო მხარდაჭერა, როგორც ამერიკის, ისე რუსეთის მხრიდან.

***– დღეს ეს ინტერესები ხომ აქვს ამერიკას?***

– რა თქმა უნდა, აქვს, მაგრამ შეიცვალა გარემოება. ობამა არ არის ბუში. დემოკრატები არ არიან რესპუბლიკელები. 2008 წლისა და დღევანდელი ვითარება მსოფლიოში ერთი და იგივე არ არის. ყველას კარგად ესმის, რომ დემოკლეს მახვილივით ჰკიდია ირანის პრობლემა მთელ მსოფლიოზე. ირანის პრობლემის გადასაჭრელად აუცილებლად არის საჭირო საქართველოს სახით, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ბევრად უფრო მეტი უნდა ვიფიქროთ საკუთარ ბედზე და საკუთარ ქვეყანაზე, ვიდრე მსოფლიო პრობლემების გადაწყვეტაზე. დღეს, საქართველოს ხელისუფლება, უფრო სწორად, ძალაუფლება გადასულია, როგორ ჩაეწეროს მსოფლიო გლობალური პოლიტიკის წიაღსვლებში. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ თავი გვაქვს გადასარჩენი. უმძიმეს კრიზისშია ქვეყანა. ჩვენ ვიცით, რომ პრაქტიკულად ბიუჯეტი არ რსებობს. იქ, სადაც 16-პროცენტი სხვა ხარჯებზე არის გაწერილი, ლაპარაკობს იმაზე, რომ აბსოლუტურად ბურუსით არის მოცული ის, რაც უახლოეს მომავალში გველოდება. მოვიდა დრო, რომ ამას პასუხი გასცეს საზოგადოებამ. მიუხედავად გარე და შიდა საფრთხეებისა, მათთვის არც ნათესავი, არც ახლობელი არ არსებობს, ამაში არაერთხელ დავრწმუნდით, 26 მაისი ამის დაუფარავი მაგალითი იყო, რომ არ დაგინდობთ არც ერთს. ჩვენი ინტერესი შემოიფარგლება ათეულობით თუ ასეულობით ადამიანის, დანარჩენი წყალს წაუღია. ეს იყო სააკაშვილის მესიჯი ქართველი საზოგადოების მიმართ.

***– როგორ წარმოგიდგენიათ თავი „ქართულ ოცნებაში“?***

– მე ძალიან დიდი ხანი ბატონ ბიძინას ვიცნობ, მაგრამ ჩვენი ნაცნობობა ხანმოკლე იყო. მე–9 არხზე გავიცანი, 10 წუთით ვისაუბრეთ, მაგრამ მე თვალყურს ვადევნებ მის საქმიანობას და ვფიქრობ, ის ერთ-ერთი გამორჩეული მოქალაქეა საქართველოსი.

***– თუმცა, მოქალაქეობა შეჩერებული აქვს...***

– არა, ის არის ჩვენთვის მოქალაქე. ფარატინა ფურცლები, რასაც პარლამენტი და თვითმარქვია ადამიანი უშვებს, ჩემთვის არაფერს არ ნიშნავს. ბიძინა ივანიშვილი არის საქართველოს მოქალაქე და ძალიან ღირსეული. მართალი გითხრათ, ჩემს თავს ყოველთვის საზოგადოების წევრად ვთვლიდი და არა პოლიტიკური გაერთიანების ნაწილად. მე იმ გზას გავაგრძელებ, რა გზითაც მივდიოდი. თუ ჩვენი გზები სადღაც გადაიკვეთება, ეს ჩემთვის პატივი იქნება. დღეს, როდესაც საკუთარი სიცოცხლე და ოჯახის კეთილდღეობა დააყენა ერთ მხარეს ჩვენთან ერთად, ამისთვის ბიძინა ივანიშვილს საქართველოს სიყვარულის გარდა სხვა მოტივაცია არ უნდა ჰქონოდა. მისი ნაბიჯი, რომლითაც თავისი მეუღლე უცებ ჩვენს მეუღლეებთან ერთად სამზარეულოში აღმოჩნდა, თავისი შვილები ჩვენი შვილების გვერდით დააყენა, თვითონაც ბრძოლის წინა ხაზზე აღმოჩნდა, ეს, რა თქმა უნდა, ჩემს პატივისცემას მისადმი აორმაგებს.

## ზაზა გოროზიამ შიდა ქართლის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა

სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა გოროზიამ შიდა ქართლში, გუბერნატორ გიორგი ტატიშვილთან ერთად, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა.


ზაზა გოროზია

მხარეებმა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის განკუთვნილი ვაუჩერების დარიგების პროცესი განიხილეს.

გოროზია გორის რაიონის სოფელ სვენეთში როინ ბეჟანიშვილის ოჯახს ესტუმრა და 30-ლარიანი ვაუჩერი გადასცა.

მედიანიუსი

## „დემოკრატიული მოძრაობა“ საქართველოს პატრიარქს აღსაყდრების დღეს ულოცავს

„დემოკრატიული მოძრაობა“ და „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭო უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს , მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია მეორეს აღსაყდრების დღეს ულოცავს.

როგორც მათ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, ილია მეორეს კათოლიკოს-პატრიარქად მოღვაწეობის 34 წელი, საქართველოს ისტორიის განმავლობაში უპრეცედენტო საეკლესიო აღმშენებლობისა და პრაქტიკულად განადგურებული საეკლესიო და სამონასტრო ცხოვრების გამოცოცხლების წლებია.

„პატრიარქი გახლავთ ადამიანურობისა და სათნოების, საკუთარი ხალხის ბრძენი წინამძღოლის ნათელი მაგალითი ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სხვა კონფესიისა და აღმსარებლობის ადამიანებისათვისაც. მის მიმართ საზოგადოების სიყვარული და პატივისცემა ადეკვატურია და ამიტომაცაა, რომ ერის სულიერი მამა და საქართველოს სამოციქულო ეკლესია ყველაზე დიდ პატივისცემასა და სანდოობას იმსახურებს. „დემოკრატიული მოძრაობა“ ჯანმრთელობასა და მხნეობასა უსურვებს უწმინდესსა და უნეტარესს. დაე, მისი ლოცვა-კურთხევის მადლი კიდევ დიდხანს ფარავდეს და ეწეოდეს საქართველოს და სრულიად მართლმადიდებულ სამყაროს“ – ნათქვამია „დემოკრატიული მოძრაობის“ განცხადებაში.

„დემოკრატიულმა მოძრაობა“ სრულიად კათოლიკურ სამყაროს შობის დღესასწაულსაც ულოცავს და მათ ოჯახებს მშვიდობას, კეთილდღეობას და ბედნიერებას უსურვებს.

მედიანიუსი

## პარლამენტის „ნდობის ჯგუფი“ თავდაცვის მინისტრს შეხვდა



პარლამენტის „ნდობის ჯგუფი“ თავდაცვის მინისტრ ბაჩო ახალაიას შეხვდა.

შეხვედრის მთავარი თემა 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში თავდაცვის სამინისტროს დაფინანსების 45 მილიონი ლარით ზრდა იყო. წლის ბოლოს უწყების დაფინანსების ასეთი მნიშვნელოვანი ზრდის მიზეზით „ქრისტიან-დემოკრატები“ დაინტერესდნენ და სხდომაც მათი მოთხოვნით გაიმართა.

როგორც სხდომის დასრულების შემდეგ „ქრისტიან-დემოკრატმა“ გიორგი თარგამაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, არავისთვის საიდუმლო არ იქნება, რომ ის 45 მილიონი შეიარაღების შესყიდვაზე იხარჯება, რათა ქართული ჯარი ქმედითუნარიანი იყოს.

მისივე თქმით, საუბარი შეეხო ჩიკაგოს სამიტის სამზადისსაც და თარგამაძეს აინტერესებდა, მინისტრისგან მოესმინა, თუ რა სტანდარტებია ისეთი, რაც საქარათველოს უნდა შეესრულებინა.

ასევე, შეხვედრაზე განიხილეს თავდაცვის სფეროში სამხედრო ელიტის განათლების პროცესი.

– ვიცით, რომ როგორც ქუთაისში კადეტთა კორპუსის, ისე გორში სამხედრო აკადემიის ფუნქციონირება შექებას იმსახურებს. ამ მიმართულებით სახელმწიფოს მიერ თანმიმდევრულობის გამოჩენას მხარს ვუჭერთ, რადგან ქვეყნის თავდაცვისთვის კვალიფიციური ქართული სამხედრო ოფიცრები მნიშვნელოვანი ფაქტორია, – განაცხადა თარგამაძემ, თუმცა მეტი დეტალები, აღარ დააკონკრეტა.

რაც შეეხება თავდაცვის მინისტრ ბაჩო ახალაიას, ახალაიამ მხოლოდ ის განაცხადა, რომ ისაუბრეს უსაფრთხოების გარემოზე და შესყიდვებზე.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ზაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ზალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ილია II-ს აღსაყდრების 34 წლისთავი ივანიშვილმა სამებაში მიულოცა

## რატომ დატოვა პრეზიდენტმა ტაძარი უკომენტაროდ

თეა მარხვაიძე

გუშინ საქართველოს მთელი ყურადღება სამების საკათედრო ტაძრისკენ იყო მიპყრობილი. საამისოდ რამდენიმე მიზეზი არსებობდა. ერთ-ერთი მთავარი ის გახლდათ, რომ გუშინ საქართველოს პატრიარქის აღსაყდრებიდან 34 წელი გავიდა. ამ 34 წლის განმავლობაში ილია II-მ ბევრი რამ გააკეთა ერისა და ეკლესიისთვის. ამდენად, რა გასაკვირია, თუ მისთვის ამ დღის მისალოცად უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი.

მათ შორის იყვნენ პოლიტიკოსებიც. პატრიარქისთვის აღსაყდრების დღის მისალოცად საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც მივიდა, რომელმაც მცირე კომენტარის გაკეთებაც კი არ ისურვა. პრეზიდენტმა სამების საკათედრო ტაძარი განაწყენებულმა დატოვა. ამის მიზეზი კი იქ მყოფი ბიძინა ივანიშვილი გახლდათ, რომელიც სხვებთან ერთად სამების საკათედრო ტაძარში პატრიარქისთვის აღსაყდრების დღის მისალოცად მივიდა.

გუშინდელი წირვის მიმართ ყურადღება სწორედ ამ პოლიტიკური მომენტის გამო იყო მიპყრობილი. წესით, არავის არ უნდა გაუკვირდეს, თუ რატომ მივიდა ივანიშვილი სამებაში. მას იქ მისვლა სხვებზე მეტად ეკუთვნის. სხვა თუ არაფერი, ეს ტაძარი მის მიერ გამოყოფილი ფინანსებით არის აშენებული. იმედია, ახლა რომელიმე ნაციონალებთან დაახლოებული პირი არ იტყვის, სამება გფბ-ს ფულებით არის აშენებულიო.

ივანიშვილს, ისევე, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს, აქვს უფლება, სადაც უნდა, იქ ილოცოს. ეკლესიაში სხვა პოლიტიკოსების გამოჩენა თუ არავის უკვირს, წესით, არც ივანიშვილის გამოჩენა უნდა გაგვიკვირდეს. არადა, გვიკვირს. გვიკვირს იმიტომ, რომ ეს ადამიანი ყოველთვის ჩრდილში ამჯობინებდა ყოფნას, ახლა კი უცებ ძალიან საჯარო გახდა. პოლიტიკაში მოსვლა თუ გინდა, ასეც უნდა იყოს.

ეს ნაციონალებმაც კარგად იციან, ამის მიუხედავად, მაინც გაიკვირვეს სამებაში მისი გამოჩენა. ისინი ძალიან კარგად ხვდებიან, რომ გუშინ ივანიშვილი ისე უბრალოდ არ მისულა სამებაში.

მათ არც ივანიშვილის „ძველი ცოდვები“ აძლევს მოსვენებას. საქმე ის გახლავთ, რომ ივანიშვილი უკვე ორჯერ შეხვდა პატრიარქს, ერთხელ ნოემბერში და მეორედ – 24 დეკემბერს.

საინტერესოა ისიც, რომ პატრიარქმა ცოტა ხნის წინ ივანიშვილთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო განცხადება გააკეთა. პატრიარქმა იმედი გამოთქვა, რომ პრეზიდენტი ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობას აღუდგენს.

ეს განცხადება მმართველმა გუნდმა არ მოიწონა. ღიად პატრიარქის წინააღმდეგ წასვლა მოერიდათ, მხოლოდ იმას გაიძახოდნენ, სამართლებრივი ნორმებით ასე იყო საჭიროო.

თქვე დალოცვილებო, სამართლიანობა თუ ამას მოითხოვდა, აქამდე შეგეწყვიტათ მისთვის მოქალაქეობა.

სააკაშვილს პატრიარქის მაშინდელ განცხადებაზე დღემდე არ გაუკეთებია კომენტარი და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ივანიშვილის გამო მან გუშინაც არ ისურვა კომენტარის გაკეთება.

კომენტარებს ამ დღეებში სხვა ნაციონალები გააკეთებენ, რომლებსაც ივანიშვილის ლანძღვის გარდა ახლა სხვა მიზანი აღარც კი აქვთ. მის ფონზე პუტინი და რუსული აგრესია ვიღას ახსოვს. შესაძლოა, ვილაცამ შეასწოროს და გვითხრას, რომ საუბრობენ ივანიშვილზე და გულისხმობენ პუტინს.



ბიძინა ივანიშვილი სამებაში

რაც შეეხება ივანიშვილს, ის საქართველოს პატრიარქს 23 დეკემბერს თავის მეუღლე ეკატერინე ხვედელიძესთან ერთად შეხვდა. მოქალაქეობა სააკაშვილმა მასაც შეუწყვიტა.

რაც შეეხება კიდევ ერთ მიზეზს, რის გამოც სამება ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. ეს ხატი „საქართველოს იმედი“ გახლდათ. ხატი სამებაში 24 დეკემბერს მიაბრძანეს.

ხატი „საქართველოს იმედი“ პატრიარქმა გუშინ აკურთხა. ის სამების საკურთხეველში მარცხენა მხარეს გუშინვე დააბრძანეს.

– ქართველი ერი ამ დღეს დიდი ხნის მანძილზე ელოდებოდა. ხატი „საქართველოს იმედი“ სასწაულმოქმედი იქნება და სიმდაბლით, რწმენითა და იმედით მლოცველებს შეეწევა, – ბრძანა ილია II ქადაგებისას.

ხატის შექმნას დეკანოზი იაკობ აბაშიძე ხელმძღვანელობდა. ჭედურობა შეასრულეს ბექა ვარდუკაძემ, დავით თევდორაშვილმა, ზაზა სალიანმა და ვიქტორ თოდუამ.

ხატი კარედის სახისაა, სამკარიანია და მასზე გამოსახულია საქართველოს ყველა წმინდანი, იგი მსგავსია ხატისა „საქართველოს დიდება“. არის განსხვავებებიც. კერძოდ, ხატის შუა ნაწილში გამოსახულია ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, ხოლო მის მაღლა – ყოვლადწმინდა სამება, ასევე ხატზე „საქართველოს იმედი“ წმინდა სიდონია დაჩოქილია კვართით, როდესაც იგი უფალს მეორედ მოსვლისას ეგებება. ხატზე გამოსახულია ჯვრებიც, რომლებშიც ჩაბრძანებულია წმინდა ნაწილები. ხატი მომინანქრებულია ოქროს ფურცლებით.

ამ ხატის შესაქმნელად შემოწირულობა ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში სამი წლის განმავლობაში გროვდებოდა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ხატის „საქართველოს იმედი“ შექმნის იდეა დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა.

სამების საკათედრო ტაძარში გუშინ ილია II-მ თავის მოღვაწეობაზეც ისაუბრა.

– პატრიარქობის 34 წელს მე მზიანი ღამე ვუწოდე. ეს 34 წელი იყო წლები განსაცდელისა, სიხარულისა და მწუხარებისა. ხშირად მეკითხებიან, რა შეიძლება ვუწოდოთ ამ 34 წელს. მე მას მზიანი ღამე ვუწოდე. იყო ღამე, მაგრამ ღვთის მზე, ღვთის მადლი გზას გვინათებდა. ჩვენ ვაშენებდით ტაძრებს, ახლაც ვაშენებთ, მაგრამ მთავარი ეს არ არის, მთავარი არის ის, რომ ჩვენ ავაშენეთ ღვთის წყალობით კიბე მიწიდან ზეცამდე და ქართველი ხალხი ადის ამ კიბით. ამისთვის ვმადლობთ უფალს, – ბრძანა უწმინდესმა.

ილია II-მ გაიხსენა პატრიარქად კურთხევის დღე და იქ წარმოთქმული სიტყვები: „თავსა და ქედს ვიხრი წინაშე ღვთისა და ერისა“.

– მრავალი შეცდომაც მქონია, მაგრამ ღვთისა და თქვენი სიყვარული მუდამ ფარავდა ამ ცოდვებს. ღმერთმა მოგვცეს ძალა, რომ გავაგრძელოთ ჩვენი გზა. ჩვენი გზა ერთადერთია – გზა სასუფევლისკენ, – აღნიშნა ილია II-მ.

მისთვის ამ დღის მისალოცად სამების საკათედრო ტაძარში უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი და, ალბათ, არც ის არის შემთხვევითი, რომ წლის ადამიანად სწორედ ის დაასახელეს. უკვე დიდი ხანია, ილია II საქართველოში ყველაზე მაღალი ნდობით სარგებლობს.

# ვინ უხდის ნაციონალებს ფულს

თეა მარხვაიძე

ალბათ გახსოვთ, რა ამბები ატყდა პარასკევს მთავარი პროკურორის მურთაზ ზოდელავას წერილზე. რომელიც მან დეპუტატ გია ცაგარეიშვილს გამოუგზავნა. რადგან წერილი პარლამენტში იყო გამოგზავნილი მას სხვა კანონმდებლებიც გაეცნენ. და რაკი საუბარი ბიძინა ივანიშვილის ფულებზე იყო კომენტარების გასაკეთებლად რიგში დადგნენ.

საზოგადოებას ბუნებრივია აინტერესებს ვის და როგორ აფინანსებს ბიძინა ივანიშვილი. ამასთან ერს არანაკლებად აინტერესებს ვინ აძლევს ფულს ნაციონალებს. საუბარია ოფიციალურ მონაცემებზე. თორემ არაოფიციალურად ყველა ბიზნესმენი ნაცების დამფინანსებელია. ასევე დადასტურებულია, რომ ბიუჯეტის თანხებიც ხშირად ხმარდება მმართველი გუნდის დაფინანსებას.

ნაციონალები თავიანთ სპონსორებზე არ საუბრობენ. არადა ამბობენ, რომ დასამალი არაფერი აქვთ. თუ ასეა წესით უნდა გამოვიდნენ და გვამცნონ ამან და ამან ესა და ეს შემოგვწირაო.

და რაკი ნაციონალები ამ თემაზე თავად არ იწყებენ საუბარს საქმეში ისევ გია ცაგარეიშვილი ჩაერია. რომელსაც მთავარი პროკურორი ძალიან ოპერატიულად უგზავნის პასუხებს.

„თავისუფალი დემოკრატების“ წევრი, დეპუტატი გია ცაგარეიშვილი მთავარ პროკურატურას მიმდინარე წელს „ნაციონალური მოძრაობის“ დაფინანსების შესახებ ინფორმაციის წარდგენას სთხოვს.

შესაბამისი სადეპუტატო წინადადებით ცაგარეიშვილმა პროკურატურას პარლამენტის ტრიბუნიდან მიმართა, თუმცა კითხვის პროკურატურისთვის გადაგზავნა ამჯერად, საორგანიზაციო დეპარტამენტს აღარ დაევალა.

ცაგარეიშვილმა მადლობა გადაუხადა მთავარ პროკურატურას მის სადეპუტატო მიმართვაზე დროული რეაგირებისთვის და იმედი გამოთქვა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ შემთხვევაშიც, ასე მოხდება.

– თქვენი დაფინანსების შესახებაც ინფორმაციას ისევე გამოვამზეურებ, როგორც ჩემი პარტიის გამოვამზეურე. მერე შევადაროთ მიღებული შემოსავლები და დამფინანსებელი იურიდიული პირები, – განაცხადა ცაგარეიშვილმა, რომელიც ტრიბუნასთან თავდაპირველად, „საარჩევნო კოდექსთან“ დაკავშირებით მისი პარტიის ალტერნატიული წინადადებების შესათავაზებლად მივიდა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ სხდომის წამყვან მიხეილ მაჭავარიანს საორგანიზაციო დეპარტამენტისთვის, ამ მიმართვის ადრესატისთვის მიწოდების უზრუნველყოფა არ დაუვალებია.



## მმართველმა გუნდმა აქტივისტების მობილიზება დაიწყო

მისი თქმით, გაუგებარი იყო რაში დასჭირდა ამ მიმართვის გაკეთება ცაგარეიშვილს ალტერნატიულ წინადადებებზე საუბრისას, რადგან მსგავსი განცხადების გაკეთება, მას სხვა დროსაც შეეძლო.

ცაგარეიშვილმა პავლე კუბლაშვილიც გააკვირვა. მისი განცხადებით, არ იყო საჭირო „ნაციონალური მოძრაობის“ დაფინანსების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების მიზნით, მთავარი პროკურატურისთვის მიმართვა, რადგან პარტიის დაფინანსება, ისედაც გამჭვირვალეა.

ამ მოსაზრებას არ იზიარებს ოპოზიცია. მათი თქმით, ყველაზე გაუმჭვირვალე ნაციონალების დაფინანსებაა.

ისე როგორც ბოროტი ხმები ამბობენ მმართველი გუნდი ცოტა შეწუხებულია, ჭმუნვის საბაბი მათ რამდენიმე აქვთ, ნაგრამ ამ შემთხვევაში ცაგარეიშვილნა დაამწუხრა, რომელიცპროკურორს ჩააძივდა ჩვენს დაფინანსებაზე ცნობა გამოაქვეყნეო. მთავარმა პროკურორმაც მოიწერა წერილი. საიდანაც გავარკვიეთ, რომ ივანიშვილს 4 პარტია საკმაოდ მსუყედ დაუფინანსებია. ნაციონალები ამის აფრიალებას თავად აპირებდნენ, მაგრამ ცაგარეიშვილი აცლის ვინმეს რამეს.

ახლა ის და სხვა ოპოზიციონერები ელოდებიან როდის გამოქვეყნდება ცნობები ნაციონალების დაფინანსებაზე. საინტერესოა მათზეც თუ გამართავს გია თორთლაძე პრესკონფერენციას.

სამაგიეროდ ოპოზიცია გაილექსება. მათ ყურადღების ცენტრში უკვე მოექცნენ მმართველი გუნდის აქტივისტები. რომლებიც ბოლო დროს ზალიან გაქტიურდნენ.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა რაიონულ ორგანიზაციებში აქტივისტთა მობილიზაციას იწყებს. იმ პირებს, ვინც გასულ წლებში მმართველი პარტიის სიებით დედაქალაქის მასშტაბით საარჩევნო შტაბების მუშაობაში იყვნენ ჩართული, ცოტა ხნის წინ დაურეკეს და თანამშრომლობის გაგრძელება შესთავაზეს. შეთავაზება წინასაარჩევნო საქმიანობას ითვალისწინებს.

როგორც „მედიანიუსს“ ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებმა აცნობეს, რაიონული ორგანიზაციების ლიდერებთან შეხვედრები უკვე ჩანიშნულია, ხოლო რამდენიმე უბანში – გაიმართა.

მსგავსი შეხვედრების 2012 წლის ოქტომბრის თვემდე (კანონის მიხედვით საპარალმენტო არჩევნების დანიშვნის დრო) ათი თვით ადრე გამართვაში განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავს „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი ზურაბ მელიქიშვილი.

– რაიონული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრებს ჩვენ პერიოდულად ვმართავთ, – განუცხადა „მედიანიუსს’ მელიქიშვილმა.

თუმცა, როგორც „მედიანიუსს“ ერთ-ერთმა აქტივისტმა უთხრა, მას „ნაციონალური მოძრაობიდან“ 2010 წლის ადგილობრივი თვითმართველობის შემდეგ პირველად რამდენიმე დღის წინ, სწორედ ზემოხსენებულ საკითხებზე სასაუბროდ დაურეკეს.

„ნაციონალური მოძრაობის“ მიერ აქტივისტთა ნაადრევი მობილიზაციის ფონზე ვადამდელი საპარალამენტო არჩევნების დანიშვნას არ გამორიცხავს ბიძინა ივანიშვილის თანაგუნდელი, პოლიტოლოგი ვაჟა ბერიძე. როგორც მან „მედიანიუსთან“ საუბარში აღნიშნა, მისი ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელმძღვანელებს შორის არსებობს მოსაზრება, რომ გამომდინარე რამდენიმე ფაქტორიდან, ხელისუფლება 2012 წლის ოქტომბერს არ უნდა დაელოდოს და საპარლამენტო არჩევნები გაზაფხულზევე დანიშნოს.

– აქ თითქოს იგულისხმება ის გარემოება, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურმა ძალამ, რომელსაც უამრავი პრობლემა შეუქმნეს, მოკლე დროში არჩევნებისთვის სათანადო მომზადება ვერ შეძლოს. ნამდვილად არ გამოვრცხავ, რომ სახელისუფლო დაჯგუფებაში ასეთი იდეა პოპულარული იყოს და არჩევნები გაზაფხულზე დანიშნონ, – განაცხადა ბერიძემ და დასძინა, რომ გაზაფხულზე არჩევნების ჩატარება ხელისუფლების წისქვილზე წყალს მაინც ვერ დაასხამს.

ამ განცხადების არგუმენტად ბერიძე იაგო კაჭკაჭიშვილის კვლევითი ცენტრის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგებს და იმ ეფექტს ასახელებს, რაც მოსახლეობაში ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამ გამოიწვია. ექსპერტის აზრით, ივანიშვილის გადაწყვეტილების ეფექტი 2012 წლის შემოდგომაზე მეტად, გაზაფხულზე უფრო მაღალი იქნება.

– ოღონდ ეს იმ შემთხვევაში, თუ შევთანხმდებით იმაზე, რომ გაყალბება მინიმალურ დონეზე მოხდება, რადგან არც დასავლეთი და არც ქართული საზოგადოება აღარ მოითმენს ისეთ გაყალბებას, რომელსაც ბოლო არჩევნებზე ჰქონდა ადგილი და პროტესტის მუხტი იქნება გაცილებით მწვავე, ვიდრე ჩვენ ამას ვხედავთ რუსეთში, – აღნიშნა პოლიტოლოგმა.

მისი თქმით, დღევანდელი პარლამენტის პირობებში არჩევნების გაზაფხულზე დასანიშნად ხელისუფლებას საკანონმდებლო მხარდაჭერის მოპოვება არ გაუჭირდება.

საპარლამენტო არჩევნების ჩატარების თარიღის დადგენასთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუციაში არსებულ კოლიზიაზე ყოფილი ე.წ. „ექვსიანი“ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ საუბრობდა. „ექვსიანის“ წევრები აცხადებდნენ, რომ არჩევნების კანონიერი ვადით ჩატარების თარიღი არა 2012 წლის ოქტომბერი, არამედ – მაისია.

მათი თქმით, პარლამენტის უფლებამოსილების ვადა სრულდება 2012 წლის 7 ივნისს, და ბუნებრივია, რომ მომდევნო საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს 2012 წლის მაისის დასაწყისში, მაგრამ გასულ წელს საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილ იქნა ცვლილებები, სადაც გაჩნდა დებულება, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნები 2012 წლის ოქტომბრის თვეში ტარდება. ანუ კონსტიტუციაში ერთგვარი კოლიზია იქმნება; არის ორი მუხლი, ერთში წერია, რომ პარლამენტის უფლებამოსილება განისაზღვრება ოთხი წლის ვადით, მეორე მუხლში კი წერია, რომ არჩევნები ტარდება 2012 წლის ოქტომბრის თვეში.

იმის შესახებ, რომ ხელისუფლება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას 2012 წლის გაზაფხულზე გეგმავს, ბოლო დროს განცხადებები რამდენიმე ოპოზიციური პარტიის წევრმა, მათ შორის „ქართული პარტიის“ თანათავმჯდომარე ეროსი კიწმარიშვილმაც გააკეთა.

სხვათა შორის, ოპოზიცია იმასაც ამტკიცებდა, რომ ვადამდელი არჩევნები წელს ჩატარდებოდა. მაგრამ წელი ისე წავიდა არჩევნები არ გვაღირსეს.

# ლალი მოროშკინა თავისუფალია

შალვა ჯოხაძე



ლალი მოროშკინა

**ტრადიციისამებრ, ამ საახალწლო დღესასწაულების წინაც ჩვენი ხელისუფლება პატიმრებისადმი ლმობიერი გახდა. თუმცა, ყველა პატიმარს ერთნაირად არასოდეს უმართლებს. ესეც ჩვეული მოვლენაა. სანამ მორიგი ამნისტიის შესახებ გიამბობდეთ, ლალი მოროშკინას ციხიდან გათავისუფლების საკითხს შევეხებით. თუმცა, მას შეწყალება როდი შეეხო, დაკისრებული სასჯელი პირნათლად მოიხადა.**

15-დღიანი პატიმრობის ვადის გასვლის შემდეგ, ლალი მოროშკინამ „მოდულის“ შენობა დატოვა, მაგრამ მოროშკინას „ნანუკას შოუს“ ჩაწერაზე მომხდარი ინციდენტის შესახებ საუბარი აღარ სურს.

– ყველამ ყველაფერი იცის და ამ თემაზე საუბარი აღარ მინდა. მე პატიმრობა ახალი წიგნის დასაწერად და დიეტისთვის ნამდვილად არ მინდოდა. ყველა თავის სინდისთან იყოს მართალი. ეს ძალიან რთული იყო ჩემთვის, ჩემი ოჯახისა და მეგობრებისთვის. მაგრამ მე არ მინდა წამებულის იმიჯის მორგება. რაც მოხდა, მოხდა. წინასაახალწლოდ არ მინდა ცუდზე ფიქრი. ერთი რამ უნდა ვთქვა – არ იყიდება, პიარისთვის არ გამოიყენება და არაფერზე იცვლება შვილები, მშობლები, სამშობლო. საზოგადოება დაძაბულია და მინდა ყველამ ერთად ამ წელს დავუტოვოთ ცუდი და ახალ წელს შევხვდეთ ახლის და კარგის იმედით, – უთხრა ჟურნალისტებს მოროშკინამ.

მოკლედ, მოროშკინა ციხეში გატარებული დღეების შესახებ ჟურნალისტებს ჯერჯერობით, აღარაფერს ეტყვის.

ლალი მოროშკინას ადვოკატ ირაკლი კაპანაძის განცხადებით, მამა როსტომმა (ლორთქიფანიძე) დაპირისპირებული მხარეები – ლალი მოროშკინა და თაკო ფხაკაძე შეარიგა და ამ თემაზე საუბარი დასრულდა.

რაც შეეხება პატიმრების შეწყალების ფაქტს, ცნობილი ხდება, რომ შეწყალების კომისიამ დადებითი რეკომენდაცია 73 პატიმრის საქმეზე გასცა. როგორც პრესას სახალხო დამცველმა, გიორგი ტუღუშმა აცნობა, სულ 139 სრულწლოვანი და 5 არასრულწლოვანი მსჯავრდებულის საქმე განიხილეს. შეწყალების კომისიის სხდომა პრეზიდენტის სასახლეში საათზე მეტხანს გაგრძელდა.

– კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებით, დადებითი რეკომენდაცია გაიცა 73 პატიმრის საქმეზე. მათგან 10-ს სასჯელი გაუნახევრდება, დანარჩენები კი საპყრობილეებს დატოვებენ. იმ პატიმართა შორის, რომლებზეც დადებითი რეკომენდაციები გავეცით, 15 ქალი, ერთი კი არასრულწლოვანი გოგონაა, – აღნიშნა ტუღუშმა.

ტუღუშმა დასძინა, რომ შეწყალების კომისიის მუშაობაზე აშკარად საახალწლო განწყობამ იმოქმედა, რადგან, კომისია განსახილველი საქმეების ნახევარზე დადებით რეკომენდაციებს ხშირად არ იძლევა ხოლმე.

თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ქვეყნის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული გადატვირთულობის პრობლემის გათვალისწინებით, კარგი იქნებოდა, საახალწლოდ მეტი პატიმარი გაეთავისუფლებინათ. ყველასთვის ცნობილია, რომ ე.წ. ნულოვანი ტოლერანტობის კამპანიის ფარგლებში კალმახელიძის უწყება ყვარყვარეს ციხეს დაემსგავსა. ადამიანის უფლებათა დამცველები ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ჩვენი საპყრობილეები ათასობით უკანონო პატიმრითა და წვრილმანი დანაშაულისათვის შეუსაბამო პატიმრობამისჯილი ადამიანებით არის გადავსებული.

აქვე, შედარებისთვის „დემოკრატიული საქართველოსგან“ განსხვავებული ქვეყნის, კომუნისტური კუბის მაგალითს მოვიყვანთ პარალელის გასავლებად. გავრცელებული ინფორმაციით, კუბის კომუნისტური მთავრობა აცხადებს, რომ ჰუმანიტარული მოსაზრებებით, უახლოეს დღეებში ციხეებიდან 3000-მდე პატიმარს გაათავისუფლებს. პრეზიდენტმა, რაულ კასტრომ ამის ერთ-ერთ მიზეზად კუბაში რომის პაპის, ბენედიქტეს ვიზიტი დაასახელა, რაც გაზაფხულზეა დაგეგმილი. კასტროს თქმით, გათავისუფლებულებს შორის 25 ქვეყნის წარმომადგენელი 86 პატიმარიც იქნება, რომლებმაც დანაშაული კუბაში აქვთ ჩადენილი. ასე რომ, მიშას რაულმა აჯობა.

თუმცა, ჩვენი ხელისუფლება სხვა სახის შეწყალებებს გეგმავს. ირკვევა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ერთგვარი ლიბერალიზაცია ხდება. ამ ლიბერალიზაციის შემდეგ, პირები, რომლებიც 25-დან 75 ათასამდე ოდენობის გადასახადების დამალვის ბრალდებით სასჯელს იხდიან, საპატიმროს დატოვებენ. ამის შესახებ განცახდება იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილმა გააკეთა. მისი ინფორმაციით, ოპოზიციასთან შედგა შეთანხმება, რომლის თანახმადაც კანონს უკუქმედების ძალა ექნება. აღსანიშნავია, რომ „ქრისტიან-დემოკრატები“ ითხოვდნენ, რომ კანონში შეტანილ ცვლილებებს უკუქცევის ძალა ჰქონოდა, რაც ინიციატორებმა გაითვალისწინეს.

– კანონი გავრცელდება ადრე ჩადენილ დანაშაულზეც, – აღნიშნა კუბლაშვილმა.

ცვლილება შედის „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“, რომლის თანახმადაც, დიდი ოდენობად ჩაითვლება თანხა თუ ის 50 ათას ლარს აღემატება, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად, თანხა რომელიც 100 ათას ლარს აღემატება.

მოქმედი კანონმდებლობით, კი გადასახადებისთვის თავის არიდების მუხლის მიზნებისთვის დიდ ოდენობად ითვლება თანხა, რომელიც 25 ათას ლარს აღემატება, რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად, რაც 75 ათას ლარს აღემატება და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.

კანონი ძალაში 2012 წლის პირველი თებერვლიდან შევა. ცვლილებების ინიციატორები პარლამენტის წევრები: მიხეილ ცქიტიშვილი, ანდრო ალავიძე და ზვიად კუკავა არიან.

– დიდ ოდენობად ითვლება, როდესაც გადასახდელი გადასახადის თანხა აღემატება ორმოცდაათ ათას ლარს, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად – როდესაც თანხა აღემატება ასი ათას ლარს, – ასეთ განმარტებას აკეთებენ ცქიტიშვილი, ალავიძე და კუკავა.

კანონპროექტის შემქმნელები აცხადებენ, რომ კანონპროექტი მიზნად ისახავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით 218-ე მუხლებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის შემსუბუქებას, ვინაიდან, დიდი ოდენობად ითვლება ნივთი, რომლის გადასახდელი გადასახდის თანხა აღემატება 50 000 ლარს, ნაცვლად 25 000-ისა და განსაკუთრებით დიდ ოდენობად – როდესაც თანხა აღემატება 100 000 ლარს, ნაცვლად 75 000-ისა.

ცვლილებების ძირითად არსს რაც შეეხება, იცვლება კანონის 218-ე მუხლის პირველი შენიშვნა, რომლის შესაბამისადაც, დიდი ოდენობის გადასახადისთვის თავის არიდებად მიიჩნევა, როდესაც გადასახდელი გადასახადის თანხა აღემატება ორმოცდაათ ათას ლარს, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად – როდესაც თანხა აღემატება ასი ათას ლარს.

– პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციაში გადასახადის თანხის 50 000 ლარზე მეტით შემცირება ითვლება გადასახადისაგან დიდი ოდენობით თავის არიდებად და იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად, – ვკითხულობთ მომავალ დოკუმენტში.

მასში, ასევე, აღნიშნულია: „დიდ ოდენობად ითვლება ნივთი, რომლის გადასახდელი გადასახდის თანხა აღემატება 50 000 ლარს, ნაცვლად 25 000 ლარისა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით: პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციაში გადასახადის თანხის 50 000 ლარზე მეტით შემცირება ითვლება გადასახადისაგან დიდი ოდენობით თავის არიდებად და იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

დიდი ოდენობის გადასახადისთვის თავის არიდებად მიიჩნევა, როდესაც გადასახდელი გადასახადის თანხა აღემატება ორმოცდაათ ათას ლარს“.

# მურმან დუმბაძე: „სამი დღე გვაშიმშილეს“

## რა ჩვენებას იძლევა მურმან დუმბაძე ვანო მერაბიშვილის უწყების წინააღმდეგ

შალვა ჯოხაძე

წინასაახალწლოდ, როგორც წესი, წლის მნიშვნელოვანი მოვლენების შეფასება ხდება. წელს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა 26 მაისი იყო, მართალია, უარყოფითად, მაგრამ მაინც. ამ დღეს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ანალიზი მოამზადა. ის მოიცავს 26 მაისს აქციის დაშლის დროს და შემდგომ დაკავებული აქციის მონაწილეების მიმართ უფლებათა დარღვევის ფაქტების, ასევე 26 მაისამდე მიმდინარე აქციებთან კავშირში მყოფი პირების მასობრივი დაკავების პრაქტიკის ანალიზს. მათ შორის, ანგარიშში შეფასებულია შემდეგი საკითხები: აქციის დაშლის დროს პოლიციის მიერ ძალის გადამეტება; აქციის დაშლის მოვლენებთან კავშირში დაფიქსირებული სიცოცხლის ხელყოფის ფაქტები; აქციის დაშლის დროს ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელის შეშლა; დაკავებული აქციის მონაწილეების მიმართ არასათანადო მოპყრობა.

– ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე სადავოა გამოძიების ეფექტურობისა და დამოუკიდებლობის საკითხი. გამოვლენილი დარღვევების ხარისხისა და მასშტაბის გათვალისწინებით, ანგარიშში აღნიშნულია, რომ სახელმწიფომ არასათანადო და არაეფექტური რეაგირება მოახდინა სამართალდამცავი პირების მიერ ჩადენილ დარღვევებზე. საია მოუწოდებს ხელისუფლებას, ჩაატაროს ეფექტიანი გამოძიება ანგარიშში წარმოდგენილ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე და შესაბამისი სამართლებრივი პასუხისმგებლობა დააკისროს იმ თანამდებობის პირებს, რომლებმაც დაგეგმეს აქციის დაშლის ოპერაცია და ხელმძღვანელობდნენ მის განხორციელებას, – აცხადებენ საია-ში.

საია-ში აცხადებენ, რომ დაკავებული პირების მიმართ, რომლებსაც ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდათ და შსს-ს დროებითი მოთავსების იზოლატორებში გადაანაწილეს, ერთგვაროვანი მოპყრობა არ იყო.

– შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის №108 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულება, იზოლატორის შინაგანაწესი და იზოლატორის საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქცია. დებულების მე-4 მუხლის მიხედვით, იზოლატორში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური და საერთო პირობები უნდა უზრუნველყოფდეს ადამიანის ღირსეულ არსებობას, მისი პატივისა და ღირსების პატივისცემას, პიროვნების ხელშეუხებლობას, საკუთარი ინტერესების დაცვის უნარს.

ზემოთ აღნიშნული მიზნების მისაღწევად, სხვა მოვალეობების პარალელურად, იზოლატორის ადმინისტრაციას ასევე ევალება:

დაკავებულ პირთა საკნებში საძილე პირობების ჯანმრთელობის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

დაკავებული პირისთვის საკუთარი სახსრებით საკვებისა და ტანსაცმლის შეტანის უფლების უზრუნველყოფა;

იზოლატორებში სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა, – განმარტავენ საია-ში.

საია-ს რეგიონული ოფისების ადვოკატების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად კი, მაგალითად: თელავის იზოლატორში მყოფი დიაბეტით დაავადებული პატიმარი კახა ბუაჩიძე ოჯახის წევრებმა 31 მაისს თავად უზრუნველყვეს შესაბამისი წამლებით, ხოლო თელავის იზოლატორში მყოფი დიაბეტით დაავადებული მეორე პატიმრის რამაზ ლატარიას განცხადებით, მას არავინ ჰყავდა, რომ ინსულინის ნემსი მიეწოდებინა. იზოლატორის ადმინისტრაციის განცხადებით, ადმინისტრაცია ვერ უზრუნველყოფდა მას ინსულინით.

ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებულ პირთა კვებისა და სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის, ასევე დაპატიმრებულ პირთა ნათესავებსა და ადვოკატებთან კომუნიკაციის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური იყო 26 მაისს განხორციელებული დაკავებიდან პირველ დღეებში.

საია-ს ადვოკატისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში ლაშა ჯავახიშვილი იხსენებს:

– თელავის იზოლატორის საკნის ფართობი არის დაახლოებით 10 კვადრატული მეტრი, სადაც ვიმყოფებით 4 დაკავებული. განათება – ნორმალური, ვენტილაცია – ნორმალური. კვება – ოჯახის ხარჯზე. პირადი მოხმარების ნივთები (ჰიგიენური) არაფერი გამაჩნია, შხაპი 29 დღის განმავლობაში არ მიმიღია. გასეირნება რამდენჯერმე გვქონდა 15-20 წუთის განმავლობაში.

თელავის დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფი კიდევ ერთი პატიმარი ზურაბ კიკილაშვილი ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს, რომ: 10 კვადრატული მეტრი ფართის საკანში 4 ადამიანი იყო. განათება – საშუალო, ვენტილაცია – კარგი. საკანს ჰქონდა პატარა სარკმელი. კვება ხორციელდებოდა ოჯახის წევრების ხარჯზე. პირველადი მოხმარების ნივთები არ ჰქონია. არ იყო შხაპის მიღების საშუალება. წყალი მუდმივად იყო. პერიოდულად ხდებოდა გასეირნება.


მურმან დუმბაძე

თელავის დროებითი მოთავსების იზოლატორში იმყოფებოდა ასევე ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებული ანდრეი გორა. იზოლატორის აღწერისას ის ამბობს:

– თელავის იზოლატორში საკნის ფართობი შეადგენს დაახლოებით 18 კვადრატულ მეტრს, სადაც ვიმყოფებით 4 პირი, განათება – ნორმალური, ვენტილაცია – ნორმალური, კვება – ძირითადად ახლობლების შემოგზავნილი, ადმინისტრაციის მხრიდან არ მოგვეწოდება საკვები. პირველადი მოხმარების საგნები არავის გააჩნია.

29 დღის განმავლობაში არ გვიბანავია. გასეირნებით ხანდახან გვასეირნებდნენ, დაახლოებით 20-30 წთ.

თელავის დროებითი მოთავსების იზოლატორში მურმან დუმბაძე საია-ს თელავის ოფისის ადვოკატისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში იხსენებს:

– ფართობი 7-8 კვადრატული მეტრი. საკანში ვიმყოფებით 4 ადამიანი. ერთხელ მოხდა საკნის შეცვლა. განათება – საშუალო. ვენტილაცია მუშაობს ღამის საათების გარდა. პირველი სამი დღე კვება არ ყოფილა. შემდგომ კვებას უზრუნველყოფდნენ ოჯახის წევრები. რამდენიმე დღის განმავლობაში გამოვიყენეთ კბილის პასტა და ჯაგრისი. შხაპის საშუალება არ იყო. გასეირნება ხდებოდა პერიოდულად.

ზურაბ ღონღაძის განცხადებით, დროებითი მოთავსების იზოლატორის საკანი, სადაც უხდებოდა ყოფნა, 12 კვადრატულ მეტრს შეადგენდა, საკანში 4 ადამიანი იმყოფებოდა. განათება – საშუალო. იყო ვენტილაციაც, გარდა ღამის საათებისა. საკანს ჰქონდა პატარა სარკმელი. კვებას ოჯახის წევრები უზრუნველყოფდნენ. იყო საპონი და წყალი. შხაპის მიღების საშუალება არ ჰქონია. პატიმრობის პერიოდში რამდენჯერმე მოხდა გასეირნება.

მარნეულის დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფი გიორგი ოგბაიძე იზოლატორზე საუბრის დროს აღნიშნავს:

– იზოლატორში შეყვანის მეორე დღიდან ბოლომდე 16 კვადრატულ მეტრში მოთავსებული ვიყავით 6 კაცი. მანამდე 4 კაცი ვიმყოფებოდით 8 კვადრატულ მეტრიან საკანში. იყო ხელოვნური განათება, ერთი ყვითელი ნათურა. საკანი ნიავდებოდა დღეში ერთი საათით. ჭერის სიმაღლე იყო 2 მეტრი. პირველი ათი დღე ვიღებდით იზოლატორის მიერ მოწოდებულ პურსა და გაურეცხავ კიტრს. 10 დღის შემდეგ ახლობლებს შემოჰქონდათ სხვადასხვა ასორტიმენტის შეზღუდული რაოდენობის საკვები, პირველადი მოხმარების საგნები (საპონი, კბილის ჯაგრისი და სხვა). შხაპი მივიღე პატიმრობის 29-ე დღეს, გასეირნება 30 დღის განმავლობაში არ ყოფილა.

როგორც საია-ს ადვოკატების მიერ 26 მაისს დაკავებულ პირთათვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტებებიდან იკვეთება, ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებულ პირთა ნაწილზე დროებითი მოთავსების იზოლატორებში 4 კვადრატულ მეტრზე ნაკლები მოდიოდა.

მოცემულ შემთხვევებთან დაკავშირებით საია მიუთითებს საქმეზე „მხითარიანი სომხეთის წინააღმდეგ“ (სომხურმა სასამართლომ ბოროტი დაუმორჩილებლობისათვის მხითარიანს შეუფარდა 10-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ დაადგინა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისგან დაცვის უფლების დარღვევა (კონვენციის მე-3 მუხლი), ვინაიდან პოლიციის განყოფილებაში მოთავსებულ ადმინისტრაციულ პატიმარს პირველი ორი დღის განმავლობაში ეკავა 0,75 კვადრატული მეტრი ფართი, ხოლო მესამე დღეს გადაიყვანეს 1,8 მ2-ის ფართის საკანში. ეს მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა სტანდარტით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს (პატიმარზე – 4 მ2, შიდა კანონმდებლობის მიხედვით კი – 2,5 მ2).

განმცხადებელი არ გაჰყავდათ საკნის გარეთ. სავარაუდოდ, პატიმართან შედიოდა სასმელად უვარგისი ხარისხის წყალი და აჭმევდნენ დღეში მხოლოდ ერთხელ. ამ პირობებმა განაპირობა ის, რომ სომხეთის ხელისუფლებამ მხითარიანის მიმართ დაარღვია კონვენციის მე-3 მუხლი.

– გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ ასევე დროებითი მოთავსების იზოლატორებში 2011 წლის 26 მაისს განხორციელებული დაკავებების შედეგად ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებულ პირთა სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის კუთხით არსებულ ხარვეზებზე.

ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მიერ დაკავებულთათვის მინიჭებული უფლებაა, მოითხოვოს სამედიცინო შემოწმება იმ ექიმის მიერ, რომელსაც აირჩევს (დამატებით ნებისმიერი სამედიცინო შემოწმება პოლიციის მიერ მოყვანილი ექიმის მიერ). ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# „თორთლაძის განცხადებაზე კომენტარის გაკეთება არ შეიძლება!“

ქეთი ხომერიკი

როგორც ირკვევა, გავრცელებული ინფორმაცია, რომ მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ პარტნიორებს აფინანსებდა, სიმართლეა. კობა დავითაშვილისა და ზვიად ძიძიგურის ,,ეროვნულ საბჭოს“ (სხვათა შორის, ,,ახალი თაობა“ ,,ეროვნული საბჭოს“ ივანიშვილის მიერ დაფინანსების შესახებ ჯერ კიდევ ორი კვირის წინ წერდა. მაშინ ჩვენთან საუბრისას კობა დავითაშვილმა ეს ინფორმაცია არ დაადასტურა), ირაკლი ალასანიას ,,თავისუფალმა დემოკრატებსა“ და რესპუბლიკურ პარტიას ნოემბერ-დეკემბერში ივანიშვილისა და საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტნის კახა კალაძის კომპანიებმა სულ 4. 100.000 ლარი ჩაახუტეს. ამ ინფორმაციის გასაჯაროებაში ლომის წილი საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელ გია თორთლაძეს მიუძღვის, დაფინანსების თემა სწორედ მან ააგორა, რასაც ,,თავისუფალ დემოკრატ“ გია ცაგარეიშვილის შსს-სა და პროკურატურისადმი მიმართვა მოჰყვა. თორთლაძე დღესაც ამტკიცებს, რომ ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის გარემოცვა – თავისუფალი დემოკრატები, რესპუბლიკელები და მრჩეველთა საბჭო რუსულ ფულს იღებს და აცხადებს, რომ დეტალურ მტკიცებულებებს საზოგადოებას მომავალი წლის თებერვალში გააცნობს. რას პასუხობს მის ბრალდებებს ვიქტორ დოლიძე?


ვიქტორ დოლიძე

,,ახალი თაობა“ ,,ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთ ლიდერ ვიქტორ დოლიძეს ესაუბრა.

**ვიქტორ დოლიძე:**

– სიმართლე გითხრათ, თორთლაძესა და მისნაირი ე.წ. პოლიტიკოსების განცხადებებზე კომენტარს არ ვაკეთებ. რაც შეეხება თანხებს, შემიძლია გითხრათ, რომ ,,თავისუფალი დემოკრატები“ ამ შემთხვევაში, ისევე, როგორც სხვა კონკრეტულ შემთხვევებში, მოქმედებენ მხოლოდდამხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის დაცვით. ჩვენ არაფერი გვაქვს დასამალი და სწორედ კანონიდან გამომდინარე პოლიტიკური პარტიების დაფინანსებისა და ხარჯების შესახებ ინფორმაციას თებერვალში წარვუდგენთ საზოგადოებას. ყველაფერი ცნობილი მომავალი წლის თებერვალში გახდება, მაშინ როდესაც ამ თანხების გამოაშკარავების დრო მოვა და ჩვენ აუცილებლად გავხსნით (არანაირი პრობლემა არ გვაქვს) და ტრანსფარენტულს გავხდით, თუ რაზეა საუბარი.

# რკინიგზას მოსახლეობის კუთვნილი მიწის ნაკვეთების მითვისებაში ადანაშაულებენ

პოლიტიკური გაერთიანება ,,ევროპელი დემოკრატები“ საქართველოს რკინიგზას, ავჭალაში მცხოვრები დაახლოებით 40 ოჯახისათვის კუთვნილი მიწების უსასყიდლოდ წართმევაში ადანაშაულებენ.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ,,ევროპელი დემოკრატების“ წარმომადგენელმა ლიკა ნაღებაშვილმა განაცხადა, საქმე ზემო ავჭალის სკოლის ქუჩაზე მცხოვრებთა მიწებს ეხება.

მისი თქმით, აღნიშნული მიწები იქ მაცხოვრებლებს სარგებლობაში 1990 წელს გადაეცათ.

– 35 კომლიდან თითოეული დაახლოებით 800კვ.მ.– მდე მიწის ფაქტობრივი მფლობელია. მათ ეს ნაკვეთები საკუთარი სახსრებით დაამუშავეს და წლებია მეურნეობას ეწევიან, რაც დღემდე მათი ძირითადი შემოსავლის წყაროა. სარგებლობაში არსებული მიწების დაკანონების მოთხოვნით მოსახლეობა შესაბამის სახელმწიფო სამსახურებს წლებია მიმართავს, თუმცა უშედეგოდ. თბილისის ქონების მართვის სამსახურმა მათ მიწების პრივატიზებაზე უარი იმ მოტივით უთხრა, რომ მიწები მტკვრის დატბორვის ზონაში მდებარეობს. თუმცა მოსახლეობამ იქ არსებული ჭაობი წლების წინ საკუთარი ხელით ამოაშრო და მოსავლიანად აქცია, – აღნიშნა ნაღებაშვილმა და დასძინა, რომ რამდენიმე თვის წინ, რკინიგზის მიერ დაქირავებულმა მუშებმა მათი მიწების თვითნებურად შემოღობვა და მიწების ჩამოჭრა დაიწყეს ისე, რომ მოსახლეობისთვის არც კომპენსაცია გადაუხდია ვინმეს, არც ახსნა-განმარტებისთვის შეუწუხებია თავი. მისი თქმით, ამ ტერიტორიას „საქართველოს რკინიგზამ“ სარკინიგზო დეპოს ასაშენებლად დაადგა თვალი.

როგორც ნაღებაშვილმა აღნიშნა, რამდენიმე თვის წინ ეკონომიკის მინისტრის ბრძანებით შ.პ.ს. საქართველოს რკინიგზას მიეცა მიმდებარე მიწების ექსპროპრიაციის უფლება.

– გარდა იმისა, რომ ამგვარი საკანონმდებლო ნორმა მხოლოდ არადემოკრატიული ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი, ექსპროპრიატორმა ამ ნორმას კიდევ უფრო კაბალური ფორმა მისცა და „სახელმწიფო საჭიროებისთვის“ ჩამორთმეული მიწის სანაცვლოდ კომპენსაციის გაცემაზეც კი უარი თქვა. არადა, თავად ეკონომიკის სამინისტროს მიერ გაწერილი სქემით, კომპენსაცია ძალადობრივი გზით ჩამორთმეულ ერთ კვადრატულ მეტრზე 6 ლარით განისაზღვრა. კომპენსაცია საქართველოს რკინიგზამ მხოლოდ ორ მოსახლეს მისცა, დანარჩენი 30-ზე მეტი კომლისთვის არც ეს კაპიკები გადაუხდია ვინმეს და არაერთი წერილის მიუხედავად, მოსახლეობას მათზე კონკრეტული პასუხი დღემდე არ მიუღია, – აღნიშნა ნაღებაშვილმა.

მისი თქმით, ,,ევროპელი დემოკრატები“ ეკონომიკის სამინისტროსგან წერილობით, ოფიციალურ პასუხს მოითხოვენ.

– გვაინტერესებს, რის საფუძველზე ხდება ზემო ავჭალის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ოჯახებისთვის სარგებლობაში არსებული მიწების ჩამორთმევა, ვინ ახორციელებს ამ პროცედურას და რატომ არ ითვალისწინებს ექსპროპრიატორი კომპანია ჩამორთმეული მიწებისთვის სამინისტროს მიერ დაწესებულ საკომპენსაციო ნორმას. მოსახლეობა კი კომპენსაციის გადახდას ან მიწების დაბრუნებას მოითხოვს, – აცხადებს ნაღებაშვილი.

მედიანიუსი

# რამაზ საყვარელიძე: „პარტია ვალდებული არ არის, იყვიროს, ვისგან მიიღო დაფინანსება“

ქეთი ხომერიკი

***რაში შეიძლება დაეხარჯათ ან დახარჯონ ივანიშვილის პარტნიორებმა 1 100 000 ლარი, იყო ეს, ასე ვთქვათ, საჩუქარი ამ პარტიებისთვის თუ საარჩევნო წლისთვის განკუთვნილი თანხაა და, უბრალოდ, დაასწრეს შემზღუდველი კანონმდებლობის მიღებას? „ახალ თაობას“ პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე ესაუბრა.***

**რამაზ საყვარელიძე:**

– შეიძლება დაასწრეს და დაფინანსება განხორციელდა სწორედ იმის მოლოდინით, რომ არ შეზღუდულიყო ეს დაფინანსება, მაგრამ სიტყვა „საჩუქარი“ არ მესმის, რადგან თავიდანვე, როცა ივანიშვილი გამოჩნდა ჰორიზონტზე, სიმპათია ამ ორი პარტიის მიმართ გამოხატა და მათთან ალიანსის განზრახვა არც დაუმალავს. და როდესაც პარტნიორობას აპირებს ადამიანი, თან ადამიანი, რომელმაც ფულის ფასი იცის, ბუნებრივია, ის მათ დაფინანსებაზეც იფიქრებს, თან იმ გარემოში, სადაც ერთ-ერთი პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტი დაფინანსების შეზღუდვაა.

***– რესპუბლიკელების გარდა, არც ერთი პარტია არ ადასტურებდა ივანიშვილის მიერ დაფინანსებას. როგორ ფიქრობთ, რატომ მალავდნენ?***

– და რატომ უნდა ეყვირათ? რა თქმა უნდა, დასამალი ისედაც არაფერი იყო, ღია პარტნიორობა იყო და პარტნიორობა გულისხმობს ურთიერთდახმარებას ყველა მიმართულებით.

***– თქვენი აზრით, სად დახარჯეს ან უნდა დახარჯონ ეს ფული, საარჩევნო წლისთვის არის განკუთვნილი? ზოგმა აღნიშნა, საკმაოდ დიდი თანხააო...***

– იცით, ჩვენთვის, ალბათ, ცოტა ძნელია თანხის შეფასება, რადგან ადამიანისთვის, რომელსაც 500 ლარი გააჩნია, 5 ლარი სხვა რამეს წარმოადგენს და ადამიანისთვის, რომელსაც 5 მილიარდი გააჩნია და არა ლარი, იგივე 5 ლარი სხვა რამეა. ამიტომ, არ გამოვრიცხავ იმას, რომ ჩვენი თვალსაზრისით უფრო გულუხვი ყოფილიყო ივანიშვილი, ვიდრე ჩვენ ვთვლით, რომ უნდა ყოფილიყო, მაგრამ, თუ ვინ როგორ გამოიყენებს და რამდენად ეფექტური იქნება ეს გამოყენება, ეს უკვე სხვა საკითხია. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, დავუშვათ, ივანიშვილს უნდა მოეთხოვა პიარკამპანიის წარმოების პროექტი და ამაზე გაეცა ფინანსები თუ რაღაც სხვა ტიპის პროცედურა უნდა ჩაეტარებინა? მისცა თანხა და, თუ აღმოჩნდება, რომ ეს პარტიები ამ თანხებს იმდენად ეფექტურად ვერ განკარგავენ, როგორც სასურველია, ალბათ, თვითონ ივანიშვილი გადახედავს თავის პოლიტიკას.

***– როგორ ფიქრობთ, შეძლებენ კი ეფექტურად განკარგვას?***

– რესპუბლიკელები და ალასანიას გუნდი მაღალი რეიტინგით არ გამოირჩევიან. ალასანიას გუნდს ცოტა მეტი რეიტინგი კი აქვს, ვიდრე რესპუბლიკელებს, მაგრამ, ორივე ერთად რომ დააჯამო, 2%-ს არ აღემატება ბოლო გამოკვლევების მიხედვით. ამიტომ, სიმართლე გითხრათ, არ ვარ დარწმუნებული (როგორც პოლიტიკური სცენის ერთ-ერთი მაყურებელი), რომ ეს პარტიები იქნებიან ეფექტურები, რადგან ფული ეფექტურობისთვის ყოველთვის აუცილებელი პირობა არ არის. იმავე სააკაშვილმა რეიტინგები რითაც აიღო, იქ ფული არ დახარჯვია, ფაქტობრივად. ბათუმში ჩავიდა, დაძაბა ურთიერთობა, ბოლნისში ჩავიდა და სხვა, 2003 წელზე მოგახსენებთ. გზაზე დაეხარჯა ფული, დანარჩენი, უბრალოდ, პოლიტიკური იდეა იყო ისეთი, რომ მოვლენა შექმნა და ამ მოვლენით აიღო რეიტინგი. სწორი იყო სააკაშვილი იმ შემთხვევაში და ამას დიდი ფული არ სჭირდება. ასე რომ, კარგი პიარიდეები ყოველთვის ფულს არ თხოულობენ.

***– პლუს ივანიშვილის ,,ქართული ოცნების“ პასიურობა, რის გამოც უკვე აკრიტიკებენ. თუ ეს პასიურობა გაგრძელდა, თავად ივანიშვილის რეიტინგიც ხომ არ დაიკლებს? რა შანსები აქვს ივანიშვილს?***

– ივანიშვილის რეიტინგზე ძალიან ბეჯითად ზრუნავს ხელისუფლება, რადგან, რამდენადაც ხელისუფლება უშვებს შეცდომებს, რომ, დავუშვათ, იქ პრესის გავრცელება შეიზღუდოს, იქ ვიღაცის საკუთრება შეიზღუდოს და ა.შ. რამდენადაც ხშირად დგამს ხელისუფლება ამ ნაბიჯებს, მოსახლეობა მით უფრო ორიენტირებული იქნება ალტერნატიულ ძალაზე. თუ ივანიშვილს საყვედურობენ, რომ პასიურობს, ამ დროს ხელისუფლება აქტიურობს ისეთ ნაბიჯებში, რომელიც ხმებს ივანიშვილისკენ წაიყვანს.

***– ხელისუფლების ელექტორატის ხმებსაც?***

– არ არის აუცილებელი, რომ ხელისუფლების ელექტორატი წავიდეს ივანიშვილისკენ. ნეიტრალური ხმები საკმაოდ დიდი პროცენტია და, როგორც ყოველთვის, ამ ნეიტრალურ ხმებზე ნადირობა უპირველესი ამოცანაა ხოლმე.

***– თუ უმრავლესობით უნდა მოსვლა, ნაციონალების ელექტორატიც ხომ უნდა გადაიბიროს? და საერთოდაც, რამდენად სწორ ნაბიჯებს დგამენ ივანიშვილი და მისი პარტნიორები?***

– არ ვიცი, რას ფიქრობს ივანიშვილი, ისევე, როგორც ხელისუფლება, მაგრამ, რაც შეეხება ქრესტომათიულ ცოდნას პიარტექნოლოგიებში, ყოველთვის დაახლოებით ასეა – პირველი დიდი, ძლიერი პიარნაბიჯის შემდეგ პოლიტიკური სუბიექტი, სასურველია, გაჩერდეს და პიარნაბიჯები უკვე ფინიშისთვის მოიმარაგოს, რათა იქ აიღოს მაქსიმალური ხმები. მუდმივად, ყოველ წუთს ხმების აღება ტექნოლოგიურად, მით უმეტეს, როცა ერთწლიანი მარათონია წინ, შეუძლებელია. მაგალითისთვის, მარათონის სხვა სახეებს მოგახსენებთ, გინდ ველოსპორტიდან, გინდ სირბილიდან. ძალიან ხშირად ადამიანი, რომელიც პირველ ადგილზე აპირებს გასვლას, თავიდანვე პირველ ადგილზე არ დგება, ანუ წინ მეტოქეებს უშვებს, რათა ძალა გამოიზოგოს და ბოლო ნახტომი გააკეთოს ისეთი, როგორიც სჭირდება. ასე რომ, აქ მთელი სპექტრია ჯერ კიდევ შესასრულებელი მთელი რიგი ტექნოლოგიებისა და ამიტომ ახლა შეფასება, სწორია თუ არა გინდ ერთი, გინდ მეორე მხარის სტრატეგია, ძნელია.

***– მოდით, კვლავ დაფინანსების თემას დავუბრუნდეთ. ხელისუფლების წარმომადგენლები და ოპოზიციონერი თორთლაძე ირწმუნებიან, რომ ივანიშვილი ,,რუსული ფულით“ აფინანსებს ამ პარტიებს.***


რამაზ საყვარელიძე

***რა კამპანიაა ეს, დასავლეთს ანახვებენ, რომ ივანიშვილი პარტიებს თითქოსდა ,,რუსული ფულით“ ყიდულობს?***

– ცნება ,,რუსული ფული“ ცოტა ღიმილის მომგვრელია. მიუხედავად იმისა, რომ მიყვარდა თორთლაძე იმ სიტუაციებიდან, საიდანაც ვიცნობდი, როგორც შესანიშნავ მასწავლებელსა და საყვარელ ალპინისტს იმ ჯგუფისთვის, სადაც იყო, ჩემთვის მისი პოლიტიკური ალპინიზმი, სიმართლე გითხრათ, სავსებით გაუგებარია. ასევე ხელისუფლებაში ბევრი ნიჭიერი ადამიანია, რომლებსაც, რომ დაუჯდე და ჰკითხო, სადაური ფული გიდევს ჯიბეშიო, ღიმილი მოერევათ. სააკაშვილი ვარდების რევოლუციას რომ აკეთებდა, მის გარშემო, დაცვაში იყო გიორგაძის ხალხი. სადაური ფული ეძლეოდათ გასამრჯელოდ? ამ ,,რუსული ფულით“ სამება აშენდა, ქართული თეატრები აღდგა და ა.შ. ბევრი კეთილი საქმე გაკეთდა, თუ ამას რუსულ ფულს დავარქმევთ. რაც მთავარია, თვითონ ნაციონალური მოძრაობა დადგა ფეხზე და ჩვენი მთავრობის პირველი ნაბიჯები ამ ,,რუსული ფულით“ გადაიდგა. ახლა როდემდე უნდა გავაგრძელოთ ეს კომედია? და თუ დასავლეთი ამ ტიპის პროპაგანდაზე მგრძნობიარეა და წამოეგება, მაშინ, სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ დასავლეთის ინტელექტი დღევანდელი ქართული პოლიტიკის ანალიზისთვის მიმზადებული არ არის.

***– თორთლაძე ამტკიცებს, რომ პროკურატურის ინფორმაცია ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში რუსეთის ჩარევას ადასტურებს, ფინანსებს ვგულისხმობ და ამაზე რეაგირება უნდა მოხდეს, რამდენად არის შესაძლებელი, რომ ეს სამართლებრივი რეაგირების საფუძვლად იქცეს, აქეთკენ ხომ არ წავა პროცესი?***

– რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავ. ჩვენ გვახსოვს უამრავი ადამიანის ციხეში მოთავსება რაღაც ანალოგიური მოტივებით. კი ბატონო, მოხდეს. მეც ხშირად მეჩვენება,

რომ პროცესი იქითკენ მიდის, რათა ეს მოტივაცია მომწიფდეს.

# „დემოკრატიული მოძრაობა“ საია-ს ანგარიშს გამოეხმაურა

„დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას 2011 წლის 26 მაისის აქციის დაშლის დროს ადამიანის უფლებათა დარღვევების თაობაზე გამოქვეყნებული ანგარიშისა და ანალიზისთვის მადლობას უხდის.

როგორც „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს“ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, საია-ს იურისტები 26 მაისსს განვითარებული მოვლენებთან დაკავშირებით მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ საკუთარი მთავრობის მიერ მშვიდობიანი პროტესტის გამო უსამართლოდ დასჯილ უდანაშაულო ადამიანებს.

– საია-ს ანგარიში კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ 26 მაისს ხელისუფლების მიერ, მშვიდობიანი მომიტინგეების მიმართ მოწყობილ იქნა საჩვენებელი სადამსჯელო სპეცოპერაცია და მას არავითარი საერთო არ ჰქონდა მიტინგის ცივილურ დაშლასთან, რომ მთავრობამ მომიტინგეებს ჩაუკეტა ყველა გასასვლი, რითაც მოუსპო შესაძლებლობა თავი დაეღწია პოლიტიკური პოლიციისა და ზონდერბრიგადების თავდასხმისგან. ხელისუფლებამ როგორც მშვიდობიანი მიტინგის ბარბაროსულად დარბევით, ასევე დარბევის პროცესშიც დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული მთელი რიგი უფლებები, – აღნიშნულია განცხადებაში.

განცხადების თანახმად, მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების არაერთი მოთხოვნისა, საქართველოს ხელისუფლება იგნორირებას უკეთებს და არ გეგმავს 2011 წლის მაისის მოვლენების, მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის ობიექტურად შეფასებას.

„დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო“ კიდევ ერთხელ მიმართავს საერთაშორისო საზოგადოებას, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს, ამ ფაქტის გამო, საქართველოს ხელისუფლებაზე ეფექტური ზეწოლისა და ობიექტური გამოძიების მოთხოვნით. ჩვენი აზრით, ცივილიზებული სამყაროს განსაკუთრებული შეფასების საგანს უნდა წარმოადგენდეს 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში გადმოცემული ფაქტები. ამის ფონზე, კიდევ უფრო შემაშფოთებელია ადამიანის უფლებათა ტოტალური დარღვევის ფაქტებისადმი საქართველოს ხელისუფლების, მთელი რიგი პარტიებისა და მათი ლიდერების უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, პოლიტიკური კონიუქტურის გავლენის ქვეშ, სასურველი ინტერპრეტაციით განიხილონ ხელისუფლების ეს ყოვლად ამაზრზენი და უპასუხისმგებლო მოქმედება და ამით ნებსით თუ უნებლიედ ხელი, შეუწყონ სააკაშვილის ხელისუფლებას, შემდგომშიც რაც შეიძლება იოლად განახორციელოს თავისი ნეობოლშევიკური ზრახვები“, – აღნიშნულია განცხადებაში.

ინტერპრესნიუსი

# სად მიდის ივანიშვილის ფინანსები?

## გიორგი შენგელაიამ ბიზნესმენს გუნდის ახალი სახეებით შევსება ურჩია

თამარ ნინიძე

რეჟისორმა გიორგი შენგელაიამ ბიძინა ივანიშვილს შეხვედრაზე ურჩია, რომ თავის გუნდში ახალი ხალხი მოიყვანოს, თუნდაც არასამთავრობოებსა და ექსპერტებს შორის აირჩიოს, მაგრამ არა პოლიტიკოსები და ეს რჩევა სულაც არ არის ლოგიკას მოკლებული.

თავის დროზე, როცა ბადრი პატარკაციშვილმა დიდი „ავიაციიდან“ ანუ დიდი ბიზნესიდან დიდი პოლიტიკაში გადაინაცვლა, მილიარდერს ბევრი „მეგობარი“ გამოუჩნდა, განსაკუთრებით ბევრი პოლიტიკურ სპექტრში აღმოჩნდა, ვისაც ძლევამოსილ ბადრისთან დაახლოების საკითხი ლამის სასიცოცხლო მნიშვნელობის მოვლენად მიაჩნდა. მიზეზი არც მეტი, არც ნაკლები ფულია, დიდი ფინანსები, რომელიც მუდამ აკლია ჩვენს ოპოზიციას და მუდამ დაეძებს. ბადრის „არკადიაშიც“ სტუმრობდნენ და ლონდონშიც, აეროპორტში კი ჩვენი ოპოზიციონერები არაერთხელ დაუფიქსირებიათ ჟურნალისტებს კეისებით ხელში.

ისტორია თითქმის მეორდება. ივანიშვილმა რა წამს პოლიტიკაში მოსვლის სურვილი გაახმაურა და როგორც კი პოლიტპარტნიორებიც დაასახელა, მალევე გამოცხადდა ნადირობის სეზონი ივანიშვილის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად. ვისაც ის მოწყალე თვალით გადახედავს, ის მოიპოვებს დაფინანსებასაც. პირველთაგან ამის ბედნიერება რესპუბლიკელებსა და ალასანიას ხვდათ წილად. მათთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ ბიძინამ ისინი დაასახელა პარტნიორებად, ამიტომ ძველი გარჩევები დროებით გვერდზე გადადეს და ეს ორი პარტია – „რესპუბლიკელები“ და „თავისუფალი დემოკრატები“ ტკბილი წყვილის იმიჯით გამოჩნდნენ საზოგადოებაში. ხანდახან მაინც წაჰკრავენ ხოლმე კბილს ერთმანეთს ასე ვთქვათ, ბიძინას კარზე გავლენის მოსაპოვებლად, პერიოდულად ავიწყდებათ ტკბილი წყვილის იმიჯი და ქიშპობენ, ერთ–ერთ გაზეთში ალასანიას გუნდის წევრმა თეა წულუკიანმა ჯერ რესპუბლიკელები იმის გამო გააკრიტიკა, რომ ისინი ლიდერებისგან განსხვავებულ მოსაზრებებს ბედავენ და აფიქსირებენ, მერე კი დაახლოებით ისე მოუვიდა, როგორც გია ცაგარეიშვილს ოქრუაშვილის პარტიაში ყოფნის დროს. ცაგარეიშვილს ის წამოსცდა, რაც იმ მომენტში არ უნდა ეთქვა, მან ის ლოზუნგი წამოისროლა „საქართველო სააკაშვილის გარეშე“, რომლის გახმაურება ნაადრევად მიაჩნდა ოქრუაშვილს და ცაგარეიშვილი პარტიიდან გააძევეს. წულუკიანს ემუქრება თუ არა მსგავსი პერსპექტივა, ვერ გეტყვით, მაგრამ სავარაუდოა, მან კულისებში მსჯელობის თემა ალასანიას საპრეზიდენტო კანდიდატურის თაობაზე, ალასანიას ნებართვის გარეშე გაახმაურა, თუ ასეა, წულუკიანის პარტიიდან გაშვებას უნდა ველოდოთ და თუ ალასანიას ამ თემის გაპიარება სურდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ბიძინა ივანიშვილთან აქტიურად იხილება მომავალი პოსტები.



გიორგი შენგელაია

რესპუბლიკელები ალასანიას თანაგუნდელებზე მეტად თავშეკავებული არიან, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მტრები მათლაც რომ ბევრი ჰყავთ, ბიძინა ივანიშვილის სიმპატიითა და კეთილგანწყობით განებივრებულ ინტელიგენციას რესპუბლიკელები მაინცდამაინც კარგ პარტნიორებად არ მიაჩნიათ, ამიტომაც მოისურვა გიორგი შენგელაიამ, ერჩია მისთვის, ახალი ხალხის მოყვანა.

პოლიტსპექტრი სიჭრელესთან ერთად ერთობ მადიანიაცაა, სულ უფრო მეტ ფინანსებს ითხოვს, ივანიშვილიც ჯერჯერობით დაფინანსებაზედ უარს არ ამბობს, მაგრამ საზღვარი ყველაფერს აქვს. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ივანიშვილმა ნაქები მრჩეველთა საბჭო დაითხოვა, დაშლას თავად ერთ–ერთი მრჩეველი გია ხუხაშვილი არ ადასტურებს და ამ აქციას რეორგანიზაციას უკავშირებს, ირაკლი სესიაშვილის განცხადებით კი პირადად ის ახალ მოძრაობაშია, მრჩეველთა საბჭომ კი უბრალოდ ტრანსფორმაცია განიცადა. ამ განმარტების საპირისპიროდ კი გავრცელდა ცნობა, რომ ივანიშვილი საბჭოს უმოქმედობას გაულიზიანებია და მისი დაშლის გადაწყვეტილება ამიტომ მიუღია.

მრჩეველები, როგორც ჩანს, მოძრაობა „ქართულ ოცნებაში“ გადანაწილდებიან, მათ შორის ეკა ბესელიაც, რომელიც ზედმეტი აქტიურის გამო ჩვენი ინფორმაციით კინაღამ გაუშვეს ივანიშვილის გუნდიდან.

ეროვნულ ფორუმშიც დიდი სამზადისია, კახა შარტავა სრულიად მარტო ხვდება ივანიშვილს, პირველი შეხვედრა მედიისთვის ცნობილი იყო, მეორე შეხვედრა კი გასაიდუმლოებული აღმოჩნდა. ამ შეხვედრის შესახებ დასტური მედიამ გუბაზ სანიკიძისგან შეიტყო. მაშინვე დაიწყო საუბარი იმაზე, რომ შარტავა ნესტან კირთაძისა და სოზარ სუბარის კვალდაკვალ ეროვნული ფორმიდან მიდის და ბიძინა ივანიშვილის გუნდში გადადის. გამოითქვა ვარაუდები, რომ სანიკიძე და აკაკი ასათიანი ივანიშვილს არ მოსწონს და შარტავა უფრო ესიმპათიურება, თანაც შარტავა ირაკლი ალასანიას ნათესავია და შესაძლოა, მას რეკომენდაცია ალასანიამაც გაუწია. ასათიანს რაც შეეხება, გასული კვირის ბოლოს ისევ ვცადეთ დაკავშირება ეროვნული ფორუმის ლიდერებთან დაგროვილ კითხვებზე შესაძლებლობის ფარგლებში პასუხები რომ მიგვეღო, ახლაც ველოდებით მათ გამოხმაურებას, შარტავას, ასათიანისა და გუგული მაღრაძის ერთობის დაშლა სწორედ გასული კვირის ბოლოს გავიგეთ, ეროვნული ფორუმის ლიდერები კი მომსახურების არედან აღმოჩნდნენ გასული. კითხვები კი უპაუხოდ დარჩა. ჩვენი ინფორმაციით, იქნებ ამის თაობაზეც გავარკვიოთ რამე, შარტავას ივანიშვილმა ურჩია ე.წ. ბალასტის თავიდან მოშორება, მაღრაძე და ასათიანი ფორუმისთვის ზედმეტები აღმოჩნდნენ. ამიტომ მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივისთვის ამ გაერთიანების დაშლა გახდა საჭირო. თუ არადა, სხვა შემთხვევაში ე.წ. თანამშრომლობა არ გამოდიოდა.

კიდევ ერთი საგულისხმო საკითხი, პარტიების დაფინასნებასთან დაკავშირებული შეზღუდვების შემოღება ივანიშვილის ფინანსებთან პირდაპირ კავშირშია. ძიძიგურმა საოცარი გულწრფელობა გამოამჟავნა და აღიარა, რომ ის და დავითაშვილი ივანიშვილისგან ფინანსდებიან, რესპუბლიკელმა თინა ხიდაშელმა კი განაცხადა, რომ მისი პარტია დაფინანსებას იღებს, მაგრამ არა ფიზიკური პირის ივანიშვილისგან, არამედ ივანიშვილის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირებისგან. სად მიდის ეს თანხები და რა შედეგი ექნება ივანიშვილისგან ამ პარტიების დაფინანსებას არავინ უწყის. ჩვენი არ არის, ივანიშვილის ფინანსებია, სურვილისამებრ განკარგავს ყველაფერს ისე, როგორც უნდა, მაგრამ საზოგადოების თვალში პოლიტელიტის უმრავლესობას ფულის რუსეთში მაძიებელთა ავტორიტეტი აქვს, ბატონ ივანიშვილს კი, თუ არ გვეშლება, რუსეთის სახელისუფლებო ლიდერებთან გაიგივება არ სურს, ამიტომაც არის ყურადსაღები რეჟისორ გიორგი შენგელაიას რჩევა, ძველი სახეების ახალი სახეებით ჩანაცვლების შესახებ, ივანიშვილი რაკი მისთვის სრულიად ახალ სივრცეში – პოლიტიკაში შემოდიოდა, განახლება საკუთარი გუნდიდან უნდა დაეწყო და ახალი სისხლის გადასხმის პროცესი საზოგადოებისთვის მიუკერძოებელი და პატივსაცემი ადამიანების დახმარებით მოეხდინა.

# მურმან დუმბაძე: „სამი დღე გვაშიმშილეს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

წლის 1 თებერვლის №108 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულების მიხედვით, იზოლატორის ადმინისტრაციის ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობაა იზოლატორებში სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა. ამავე ბრძანებით დამტკიცებული იზოლატორის საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციის მიხედვით კი, იზოლატორში ყოფნის დროს, დაკავებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, იზოლატორის მორიგე ვალდებულია, დაუყოვნებლივ გამოიძახოს მედპერსონალი და გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ გააკეთოს ჩანაწერი იზოლატორში განთავსებულ პირთა პირველადი სამედიცინო დახმარების რეგისტრაციის ჟურნალში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს დაკავებული პირის გადაყვანა შესაბამის სტაციონარულ დაწესებულებაში ბადრაგის თანხლებით, – აცხადებენ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.

საია-ს ხელთ არსებული ინფორმაციით, დროებითი მოთავსების იზოლატორებში სამედიცინო მომსახურების კუთხით პრობლემები შეექმნათ ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებულ მურმან დუმბაძესა და გიორგი ოგბაიძეს.

მურმან დუმბაძე ახსნა-განმარტებაში იხსენებს:

– მე დაზიანებული მქონდა თავი, ცხვირი, ნეკნები, კიდურები, თვალი. სამედიცინო დახმარება აღმომიჩინეს საია-ს ადვოკატების მოსვლის შემდეგ. მომდევნო დღეებში რამდენჯერმე იყო ექიმი. დეტალურად გამსინჯა. მივიღე ტკივილგამაყუჩებლები. დაისვა დიაგნოზი – სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა, ტკივილის სინდრომი. მიუხედავად იმისა, რომ ვითხოვდი შინაგანი ორგანოებისა და თვალის სამედიცინო გამოკვლევას, ეს არ განხორციელებულა.

გიორგი ოგბაიძე საია-ს იურისტისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს:

– დაზიანებული მქონდა ნეკნი, ზურგი, ფეხი და მოვითხოვე ექიმთან შეხვედრა, რაზეც უარი მეთქვა.

# თამარ იოვაშვილი: „ედეპე იდეებს გვპარავს“

## რა პრეტენზიები აქვს უმუშევართა კავშირს პოლიტიკურ პარტიასთან

თეა მარხვაიძე

**უმუშევართა კავშირი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას უპირისპირდება. მოძრაობის ლიდერის თამარ იოვაშვილის თქმით, ედეპემ მათი იდეები მიითვისა. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ პოლიტიკოსები ასე არ უნდა იქცეოდნენ. თამარ იოვაშვილი ამ საქმის ასე დატოვებას არ აპირებს და სხვა პოლიტიკოსებთან ერთად იბრძოლებს უმუშევართა უფლებების დასაცავად.**

**რით მტკიცდება, რომ ედეპემ უმუშევართა კავშირს იდეები მოჰპარა, ვინ შეჰპირდა მათ დახმარებას, როგორ მოხდება კანონის წარდგენა პარლამენტში – ამ თემებზე უმუშევართა კავშირის ლიდერი თამარ იობაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.**

**თამარ იოვაშვილი:**

– ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაზე ძალიან ნაწყენი ვარ. მათ ასეთი რაღაც არ უნდა გაეკეთებინათ. მათგან ასეთ რამეს არ ველოდი. უმუშევართა კავშირი მათთან კარგად თანამშრომლობდა. პირველად ჩვენი მანიფესტი გამოქვეყნდა მიმდინარე წლის 6 ივნისს. სადაც უკვე ყველაფერი გვქონდა ჩამოწერილი. ივნისიდან სექტემბრამდე ვაყალიბებდით ჩვენს ჯგუფს. 29 სექტემბერს ჩვენ გავაკეთეთ განცხადება, რომ შეიქმნა უმუშევართა კავშირი. ამ ღონისძიებიდან რამდენიმე დღის შემდეგ დამიკავშირდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ბაჩუკი ქარდავა და შეხვედრა მთხოვა. მე ჯერ მას შევხვდი და შემდეგ გურამ ჩახვაძეს, რომელიც ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერია და ამასთან ერთად პარლამენტის დეპუტატიც არის. ჩვენ ვისაუბრეთ იმ თემებზე, რაც უმუშევრობასთან არის დაკავშირებული.



თამარ იოვაშვილი

***– ედეპე თავიდანვე დაინტერესებული იყო უმუშევრობის პრობლემით?***

– ეს ისეთი პრობლემაა, რომელიც ყველა პარტიას უნდა აინტერესებდეს. ამდენად, არ მიკვირს ედეპე ამ თემით რომ არის დაინტერესებული. მეორე არხზე, მოგეხსენებათ, ოპოზიციური პარტიები აფიქსირებენ ხოლმე თავიანთ პოზიციებს. ერთხელაც ვუსმინე ედეპეს გამოსვლას. ისინი საუბრობდნენ რაღაც კანადურ ვარიანტზე. რაც პირადად მე სასაცილოდ მომეჩვენა.

***– რატომ მოგეჩვენათ სასაცილოდ?***

– დავიწყოთ იმით, რომ კანადის და საქართველოს ერთმანეთთან შედარება შეუძლებელია. ამდენად, ჩვენთან წარმოუდგენელია კანადური მოდელის განხორციელება. ედეპეს წევრებს რომ შევხვდი, ვუთხარი, რა შენიშვნებიც მქონდა კანადურ მოდელთან. ამის შემდეგ მათ მკითხეს, თქვენ რა იდეები გაქვთო. მე დავუტოვე ჩვენი მანიფესტი და პირველადი მონახაზი. ჩვენი მთავარი მოთხოვნაა შრომის ბირჟის შექმნა. ასევე აუცილებელია უმუშევართა რეგისტრაცია. აუცილებელია მოხდეს ამ ადამიანების გადამზადება. მოკლედ, რაც მასალები მქონდა, ყველაფერი დავუტოვე. თანამშრომლობის პირობა მომცეს და ასე დავშორდით ერთმანეთს. არ იფიქროთ, რომ მარტო ედეპესთან გვინდოდა თანამშრომლობა. ჩვენ ყველა პარტიასთან გვინდა თანამშრომლობა. მიმაჩნია, რომ ამ თემებზე ყველა პარტია ერთად უნდა იყოს. იგივე მოსაზრება დააფიქსირა თეთრი მოძრაობის ლიდერმა თემურ შაშიაშვილმა. რაც შეეხება ედეპეს, ისინი ამ შეხვედრის შემდეგ აღარ შემხმიანებიან. გავიდა დრო და ერთ დღესაც ვკითხულობ გაზეთ „ახალ თაობას“, სადაც გურამ ჩახვაძეს ჩვენი იდეები, როგორც ედეპეს იდეები, ისე აქვს გახმოვანებული.

***– კონკრეტულად რა იდეებზე ედავებით?***

– უმუშევართა აღრიცხა-რეგისტრაცია – ეს არის ჩვენი ინიციატივა. პარტია კი ცდილობს, რომ ეს როგორც საკუთარი იდეა ისე გაასაღოს. ამით როგორც ეტყობა ქულების დაგროვება უნდათ.

***– არ დაუკავშირდით ედეპეს წევრებს, არ სცადეთ, გაგერკვიათ, რაში იყო საქმე?***

– როგორ არა. დავუკავშირდი ბაჩუკი ქარდავას. ის ძალიან შეცბა. მერე მითხრა, ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდებაო. მე ამ პასუხმა არ დამაკმაყოფილა და ვუსაყვედურე, რომ მათ ჩვენი იდეები მიითვისეს. და აპირებენ, რომ საკანონმდებლო ინიციატივად წარადგინონ. არადა, ამის გაკეთებას ჩვენ ვაპირებთ.

***– თქვენ როგორ უნდა წარადგინოთ? თქვენ ხომ პარლამენტში თქვენი კაცი არ გყავთ?***

– ამაში ჩვენ ფრაქცია ერთობა სამართლიანობისთვის დაგვეხმარება. ამის პირობა გია ცაგარეიშვილმა მოგვცა. ძალიან ნაწყენი ვარ ედეპეზე. მათ ასეთი რაღაც არ უნდა ეკადრათ. მით უმეტეს, ჩვენ მზად ვიყავით, მათთან გვეთანამშრომლა.

***– ახლა რას აპირებთ? სასამართლოში ხომ არ შეიტანთ სარჩელს?***

– ჩივილს ნამდვილად არ ვაპირებთ. ამას აზრი არ აქვს. თან ყველამ იცის, რომ ეს არის ჩვენი პროექტი. მესმის, რომ პოლიტიკა ბინძურია მაგრამ ჩვენ უნდა ვითამაშოთ სუფთად. ჩვენ ვაგრძელებთ თანამშრომლობას პოლიტიკურ პარტიებთან. მე არ ვამბობ, რომ ჩვენი პროექტი სრულყოფილია. მას პროფესიონალის ხელიც ესაჭიროება. ჩვენ შენიშვნებსაც გავითვალისწინებთ. ოღონდ არავის მივცემთ იმის უფლებას, რომ ჩვენი იდეები მიითვისოს. ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ.

***– რას ითვალისწინებს ეს კანონი და რამდენად არის შანსი, რომ პარლამენტი მას განიხილავს?***

– იმედი გვაქვს, რომ პარლამენტი განიხილავს კანონს უმუშევართა დაცვის შესახებ. ამ კანონში საუბარია როგორ უნდა მოხდეს მოქალაქეთა უმუშევრად ცნობა. ძალიან საინტერესო მუხლებია. ამას უკვე კანონპროექტის ფორმა აქვს მიცემული და პარლამენტშიც მოხდება მისი განხილვა. ის, რაც გააკეთა ედეპემ, ეს არის პლაგიატი. ამის ასე დატოვება არ შეიძლება. იმედია, ამ შეცდომას თავადვე გამოასწორებენ. ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ ამ თემაზე ბევრმა პარტიამ იაქტიუროს. ოღონდ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვიღაცას ჩვენ იდეებს მოვაპარინებთ. ჩვენ მარტო ამ მიმართულებით არ ვმუშაობთ. გვინდა ბავშვებზეც ვიზრუნოთ. მათთვის ვაპირებთ უფასო საკონსულტაციო ცენტრების შექმნას.

***– რა ცენტრებზეა საუბარი?***

– ბავშვების მოსამზადებელ ცენტრებზე. ჩვენს კავშირში ბევრი უმუშევარი პედაგოგია. მათ რომ არ დაკარგონ ფორმა. იმუშავებენ ბავშვებთან და ჩაუტარებენ მათ დამატებით გაკვეთილებს. მოგეხსენებათ, რომ ბავშვებს დამატებითი მომზადება ესაჭიროებათ.

***– რა კატეგორიის ბავშვებისთვის აპირებთ ასეთი ტიპის დახმარების გაწევას?***

– სოციალურად დაუცველ ოჯახებში მყოფი ბავშვებისთვის. ამ ოჯახებს არა აქვთ შესაძლებლობა, ბავშვებს დამატებითი განათლება მიაღებინონ.

***– ყველა საგანში დაეხმარებიან ბავშვებს?***

– საკონსულტაციო ცენტრებში ბავშვებს ქართულსა და მათემატიკაში დაეხმარებიან. დანარჩენ საგნებში კი პროფესორები ჩაუტარებენ ლექციებს. ბავშვებისთვის ბევრი რამეა გასაკეთებელი. ამ მხრივ მე გამაოგნა ავჭალაში არსებულმა ვითარებამ. იქ მიტოვებულ სახლებში რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს. თუმცა მას ცხოვრება არ ჰქვია. რა პირობებშიც ისინი ცხოვრობენ, ასეთი პირობების წარმოდგენაც კი ძნელია. ამ ოჯახებს ჰყავთ ბავშვები, რომლებიც ფაქტიურად ტიტვლები დარბიან. ტანსაცმელი და ფეხსაცმელიც კი არა აქვთ. მე ვნახე კადრები, სადაც ჩანს, რომ ბავშვებს ფეხსაცმელები არ აცვიათ. ამ სიცივეში ისინი ფეხშიშველები დადიან. ამ ოჯახების ყოფის ამსახველი კადრები სოცილიური ქსელებითაც გავრცელდა. არ შეიძლენა 21 საუკუნეში ადამიანები ასე ცხოვრობდნენ. მე მესმის, რომ ყველას უჭირს. მაგრამ მაინც ვთხოვ, რომ ასეთი უპოვარი ოჯახებისთვის რამე გაიმეტონ.

# თბილისში ორი ახალი იაფი სავაჭრო ობიექტი გაიხსნა

თბილისის მერიის ინიციატივით, თბილისში, ფალიაშვილისა და მარიჯანის ქუჩებზე ორი ახალი იაფი სავაჭრო ობიექტი გაიხსნა.

ახალი იაფი სავაჭრო ობიექტები ფალიაშვილის ქუჩაზე ვაკის მაჟორიტარმა დეპუტატმა ვატო ნაცვლიშვილმა, ხოლო მარიჯანის ქუჩაზე კი ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებელმა, დავით ბურდულმა დაათვალიერეს.

ამ ეტაპზე თბილისის მასშტაბით სულ 14 სავაჭრო ობიექტია განთავსებული. მსურველებს საშუალება აქვთ, ყოველ კვირა დღეს დილის 09:00-დან 17:00 საათამდე ზუსტი წონისა და მაღალი ხარისხის პროდუქცია ხელმისაწვდომ ფასად შეიძინონ.

ახალ სავაჭრო ობიექტებში უკვე 100-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული.

სასურსათო პროდუქტების დაბალ ფასში შეძენისა და მოსახლეობის შემოსავლების დაზოგვის მიზნით, თბილისის მერია იაფი სავაჭრო ობიექტების მოწყობას ქალაქის ყველა უბანში გეგმავს.

**მედიანიუსი**

# ნატოს გადაზიდვების უზრუნველყოფაში საქართველოს აზერბაიჯანი შეცვლის

აზერბაიჯანმა ნატოს კოალიციისათვის ევროპიდან ავღანეთში ტვირთების გადასაზიდად



გიორგი კოდუა

ავიაკომპანია „სკაი ჯორჯია“ შეცვალა. ეს განცხადება მისმა ხელმძღვანელმა გიორგი კოდუამ გააკეთა. მისი თქმით, კომპანიაში შექმნილ პრობლემებთან დაკავშირებით „დახმარების ხელი აზერბაიჯანმა გამოიწოდა“.

„ახლა გადაზიდვა აზერბაიჯანის დროშით მფრენი თვითმფრინავებით ხორციელდება. კომერციული მოგებაც აზერბაიჯანს აქვს. ჩვენი ეკონომიკა კი ზარალდება“, — აღნიშნა გიორგი კოდუამ.

მან იმედი გამოთქვა, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მის კომპანიას მუშაობის მენართვას მისცემს, რომლის ნატოში გადამზიდავი 5 თვითმფრინავი სხვადასხვა ქვეყანაში უქმად დგას.

1 ნოემბრიდან ქართულ ავიაკომპანიას ევროპიდან ავღანეთში ნატოს კოალიციისათვის რეისების შესრულება არ შეუძლია. საქართველოს ხელისუფლებამ ავიაკომპანიას რუსული თვითმფრინავებით — „ილ-76“ ნატოს ტვირთების გადაზიდვა აუკრძალა. როგორც ეკონომიკისა დამდგრადი განვითარების მინისტრმა ვერა ქობალიამ ამასწინათ განმარტა, „ილ-76“ ტექნიკურად სრულად გამართული არ არის.

თუმცა, როგორც კოდუამ ამასწინათ განაცხადა, რუსულ ლაინერებს „ევროპელები და ნატოს კოალიციაც იყენებენ.

**მედიანიუსი**

# საქართველო გაეროს ფონდის კონტრიბუტორი გახდა

საქართველომ დღეს ხელი მოაწერა შეთანხმებას გაეროს განვითარების პროგრამასთან ფონდი „იასუნისთვის“ კონტრიბუციის გაწევის თაობაზე. 100 ათასი აშშ დოლარის მოცულობის საქართველოს ეროვნული კონტრიბუცია მოხმარდება ეკვადორის რესპუბლიკაში უნიკალური ბიომრავალფეროვნების რეგიონოს დაცვასა და განვითარებას. საქართველომ და ეკვადორმა აგრეთვე ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების წერილს ფონდ „ასუნიში“ განხორცლებული კონტრიბუციის თაობაზე.

„ეკვადორის მთავრობის სახელით მადლობას მოვახსენებთ საქართველოს მთავრობასა და ქართველს ხალხს ამ მნიშვნელოვანი დახმარების გამო“, განაცხადა ეკვადორის ელჩმა გაეროსთან დიეგო მორეხონმა. „ეს ნაბიჯი ხაზს უსვამს ჩვენს ორ ქვეყანას შორის ბოლო წლების განმავლობაში დამყარებულ ახლო ურთიერთობებს და ახალ დინამიკას შესძენს ჩვენს თანამშრომლობას, როგორც ორმხრივ, აგრეთვე მრავალმხრივ ფორმატში“, თქვა ელჩმა მორეხონმა.

ფონდი „იასუნის“ (www.yasunisupport.org) მიზანია ხელი შეუწყოს მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ბიომრავალფეროვანი რეგიონის შენარჩუნებასა და მდგრად განვითარებას, ენერგიის განახლებადი წყაროების ხელშეწყობის გზით.

გაეროს განვითარების პროგრამის მხრიდან შეთანხმებას ხელი მოაწერა ბისრატ აკილუმ, ფონდის აღმასრულებელმა კოორდინატორმა, საქართველოს მხრიდან — საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროსთან, საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ალექსანდრე ლომაიამ.

ხელმოწერის ცერემონიალი ნიუ-იორკში, გაეროს განვითარების პროგრამის შტაბბინაში გაიმართა.

**მედიანიუსი**

# გიორგი თარგამაძე: „ამ წლების განმავლობაში საქართველო მეორედ იშვა“


გიორგი თარგამაძე

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა— თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს აღსაყდრებიდან 34-ე წლისთავი ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემაც მიულოცა.

— მთელი ამდენი წლის განმავლობაში საქართველო მეორედ იშვა. ამ მეორედ დაბადების ერთ-ერთი მთავარი ავტორი, რა თქმა უნდა, არის მისი უწმინდესობა. თანამედროვე ქართველი ერი, ვისაც ჩვენ დღეს წარმოვადგენთ არის დამსახურება მისი უწმინდესობის მოღვაწეობის და ქართული ეკლესიის ღვაწლის. ვულოცავ დღევანდელ დღეს და ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ეკლესიის ძლიერებასთვის, — განაცხადა თარგამაძემ.

**მედიანიუსი**

# ალიევმა და სააკაშვილმა ორმხრივი ურთიერთობების განმტკიცების სურვილი გამოთქვეს

საქართველოს პირველმა პირმა მიხეილ სააკაშვილმა შაბათს აზერბაიჯანელ კოლეგა ილჰამ ალიევს დაურეკა და დაბადების დღეს მიულოცა. აზერბაიჯანის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, სააკაშვილმა ალიევს ჯანმრთელობა და წარმატება უსურვა.

სატელეფონო საუბრისას ალიევმა და სააკაშვილმა საქართველოსა და აზერბაიჯანის ორმხრივი ურთიერთობების კიდევ უფრო განმტკიცების სურვილი გამოთქვეს.

შეგახსენებთ, რომ ალიევი 50 წლის გახდა. მას დაბადების დღეს საქართველოს ექს-პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემაც მიულოცა.

**მედიანიუსი**

# ავჭალაში მხუთავი აირით ხუთსულიანი ოჯახი მოიწამლა

წუხელ თბილისში, ავჭალის დასახლებაში, მხუთავი აირით ხუთსულიანი ოჯახი მოიწამლა.

სასწრაფო დახმარების გამოძახება ოჯახის წევრებმა თავად მოახერხეს. ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად მშობლები და სამი მოზარდი მოიწამლა. ცოლ-ქმარი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ თბილისის მეხუთე საავადმყოფოში გადაიყვანა, სამი მოზარდი კი ჟვანიას სახელობის საავადმყოფოში მოათავსეს.

ბავშვები კლინიკიდან უკვე გაწერეს, მათი მშობლების ჯანმრთელობის მდგომარეობა კი ამ დროისათვის დამაკმაყოფილებელია და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. მოწამვლის მიზეზად გამათბობლიდან გაზის გაჟონვა სახელდება.

**მედიანიუსი**

# ეროვნულმა არქივმა „საეკლესიო მოხატული ხელნაწერი წიგნები“ გამოსცა

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა „საეკლესიო მოხატული ხელნაწერი წიგნები“ გამოსცა. მათი წარდგინება ეროვნულ არქივში შედგა და ხელნაწერების გამოფენა გაიმართა. ღონისძიება ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა გახსნა.**

ეკა ირემაშვილი

წიგნში წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული სასულიერო შინაარსის 22 მოხატული ხელნაწერის 67 ილუსტრაცია. „საეკლესიო მოხატული ხელნაწერი წიგნების“ რედაქტორ-შემდგენელი ეროვნული არქივის ძველ საბუთთა განყოფილების უფროსი მანანა ჭუმბურიძეა, კონსულტანტი კი — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ზაზა სხირტლაძე.

— სასულიერო ხასიათის ილუსტრირებული ხელნაწერები არა მხოლოდ რელიგიურ და ისტორიულ მნიშვნელობას ატარებს, არამედ საინტერესოა თავისი მხატვრული ღირებულებითაც. ეროვნულ არქივში დაცულ IX-XIX საუკუნეების ხელნაწერების მინიატურებსა და გრაფიკულად გაფორმებულ ტექსტებს ერთ კატალოგში მოვუყარეთ თავი“, — აღნიშნა პრეზენტაციაზე თეონა იაშვილმა.

გამოცემის მნიშვნელობაზე პრეზენტაციისას ისაუბრეს, ზაზა სხირტლაძემ, მანანა ჭუმბურიძემ და მამა მიქაელ ბოტკოველმა.

— გამოცემაზე მუშაობის პროცესში დაზუსტდა გიორგი მთაწმინდელის მიერ ნათარგმნი ოთხთავის გადაწერის თარიღი, რომელიც მიჩნეული იყო, როგორც XIV საუკუნის ხელნაწერი. სპეციალისტთა დასკვნით, ხელნაწერი გაცილებით ადრე, XI–XII საუკუნეებშია გადაწერილი, — განმარტა მანანა ჭუმბურიძემ.

ეროვნულ არქივში დაცული ყველაზე ადრეული, IX საუკუნის ხელნაწერი, გრაფიკულად შესრულებული გოლგოთის ჯვრით არის შემკული.

— სასულიერო შინაარსის მოხატული ხელნაწერები შექმნილია როგორც მაღალი პროფესიული ოსტატობით გამორჩეული კალიგრაფთა და მინიატურისტთა, ისე ხალხური თვითნასწავლი მხატვრების მიერ. ხალხური შემოქმედების საუკეთესო მაგალითია XVII საუკუნის ლექსად თქმული წმინდა გიორგის ცხოვრება, რომელიც უხვადაა შემკული ხალხური მხატვრული წრიდან მომდინარე მინიატურებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია XVI საუკუნის გულანი, რომელსაც მაღალმხატვრულად შესრულებული 12 სადღესასწაულო მინიატურა ამშვენებს, — განაცხადა ზაზა სხირტლაძემ.

გამოცემის პრეზენტაციის პარალელურად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, ასევე, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროების საქმის წარმოების სამსახურებისა და არქივების თანამ-


თეონა იაშვილი

შრომლებს, რომელთაც ეროვნულ არქივში ერთკვირიანი სემინარი გაიარეს, ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა სერთიფიკატები გადასცა. სერთიფიკატი ღონისძიების 54-მა მონაწილემ მიიღო.

— დაწესებულებათა არქივებისა და საქმის წარმოების სამსახურების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ეროვნული არქივი სხვადასხვა უწყებების წარმომადგენელთათვის მუდმივად ატარებს სემინარებს, რასაც ორგანიზებას უწევს ცენტრალური აპარატის ეროვნული საარქივო ფონდისა და საქმის წარმოების განყოფილება. სემინარზე მსმენელებს საარქივო საქმიანობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები — „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქმის წარმოების ერთიანი წესები და დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესები ეროვნული არქივის ცენტრალური აპარატის სხვადახვა განყოფილებისა და ცენტრალური არქივების წარმომადგენლებმა გააცნეს, — განაცხადა თეონა იაშვილმა.

ცნობილი ხდება, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში დაწესებულებათა არქივებისა და საქმის წარმოების სამსახურების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი სემინარი მიმდინარეობს. სემინარში მონაწილეობენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, ასევე, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროების საქმის წარმოების სამსახურებისა და არქივების სპეციალისტები, სულ 55 მსმენელი. სემინარის მიზანია, მსმენელებს გააცნოს საარქივო საქმიანობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქმის წარმოების ერთიანი წესები და დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესები.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის საგამოფენო დარბაზში გამართულ იუსტიციის სამინისტროს ტურნირში ინტელექტუალურ თამაშებში „რა? სად? როდის?“ და „ბრეინ-რინგი“ საჯარო რეესტრის ერთ-ერთმა გუნდმა გაიმარჯვა.

ინტელექტუალურ თამაშში „რა? სად? როდის?“ იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების 15 გუნდი მონაწილეობდა. მეორე საპრიზო ადგილზე აღსრულების ეროვნული ბიუროს გუნდი გავიდა, ხოლო მესამეზე საჯარო რეესტრის კიდევ ერთმა გუნდა გაიმარჯვა. „რა? სად? როდის“ ტურნირში პირველ რვა ადგილზე გასული გუნდები ერთმანეთს შეეჯიბრნენ „ბრეინ-რინგში“. აქაც პირველ ადგილზე გავიდა საჯარო რეესტრის გუნდი, მეორეზე — იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის გუნდი, ხოლო მესამეზე — აღსრულების ეროვნული სააგენტოს გუნდი.

„ბრეინ-რინგის“ საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა აღსრულების ეროვნული ბიუროს გუნდის მოთამაშე გიგი ჩიხლაძე. გამარჯვებულ გუნდებსა და მოთამაშეებს კი სამახსოვრო პრიზები გადაეცათ.

# ამერიკელმა მოზარდმა მსოფლიოს მწვერვალები დალაშქრა

15 წლის ამერიკელი მოზარდი, ჯორდან რომერო, ექვსი კონტინენტის უმაღლესი მწვერვალე-



ბის ყველაზე ნორჩი დამპყრობელი გახდა ისტორიაში. ადრინდელი რეკორდის მფლობელი ბრიტანელი ჯორჯ ატკინსონი იყო, რომელმაც დალაშქვრის სერია მაისში 16 თვის ასაკში დაასრულა.

რომერომ შაბათს ანტარქტიდაში ვინსონის პიკს (4892 მეტრი) წარმატებით მიაღწია, რაზეც დედას შეატყობინა და სოციალურ ქსელ ფეისბუქზე დაწერა.

— კიდევ ქვემოთ დაშვება მოგვიწევს. აი მაშინ კი აღვნიშნავთ, — დაწერა ნორჩმა ამერიკელმა.

ის კონტინენტების უმაღლეს მწვერვალებს მამასთან და დედინაცვალთან ერთად იპყრობს, რომლებიც გამოცდილი ალპინისტები არიან.

ახლა მოზარდის აქტივში შვიდი მთაა, აფრიკის უმაღლესი წერტილი — კილიმანჯაროსა (5895 მეტრი) და მსოფლიოს უდიდესი სიმაღლის — ევერესტის (8850 მეტრი) ჩათვლით. ისინი მან, შესაბამისად, 10 და 13 წლის ასაკში დალაშქრა.

ჯორდანმა დიდი ხნის ოცნება აისრულა. ჩანაფიქრი დაიბადა მაშინ, როდესაც ბიჭუნამ სკოლაში ექვსი კონტინენტის მთავარი სიმაღლეების შესახებ გაიგო.

— ყველაფერი მამას მოვუყევი და მას „არა“ არ უთქვამს. მან, უბრალოდ, ამიხსნა, თუ რა საფრთხეებთან მექნებოდა შეხება და რის გაკეთება იყო საჭირო. ჩვენ მაშინვე ვარჯიშს შევუდექით, — იხსენებს მოზარდი.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# ეთერ კაკულია პატრიარქის საგალობელს შეასრულებს

ეკა ირემაშვილი



მომღერალი ეთერ კაკულია საქართველოს პატრიარქის საგალობელს „მოდი, ჩემთან უფალო“, შეასრულებს. როგორც მომღერალმა „ახალ თაობას“ განუცხადა, იგი ორი დღის წინ შევხდა მის უწმინდესობას და საგალობლის შესრულების უფლება პირადად ილია მეორისგან მიიღო. მომღერალი არ მალავს, რომ ამ ფაქტით აღფრთოვანებულია და ბედნიერესად მიაჩნია თავი, რომ დიდი ხნის ოცნება აუსრულდა.

საპატირიარქოში მისულმა მომღერალმა უწმინდესისთვის რამდენიმე სიმღერა შესარულა და მან სთხოვა კურთხევა შეასრულოს პატრიარქის მიერ დაწერილი საგალობელი „დავილალე ჩემთან მოდი უფალო“. ეს ინფორმაცია სოციალურ ქსელში სწრაფად გავრცელდა. „ფეისბუქში“ ინფორმაცია გამოქვეყნდა, „იუთუბიზე“ კი შეხვედრის ამსახველი ვიდეოც დაიდო. შეხვედრას საპატრიარქოში სასულიერო პირები და რამდენიმე ქალბატონიც ესწრებოდა.

**ეთერ კაკულია, მომღერალი:**

– რამდენი წელი ვოცნებობდი, პატრიარქის საგალობელი შემესრულებინა და ოცნება ამიხდა.

***– ნებართვა პირადად პატრიარქისგან მიიღეთ?***

– დიახ. ორი დღის წინ შევხვდი მის უწმინდესობას და დამრთო ნება მისი საგალობელი ვიგალობო. პირადად ვთხოვე, რომ მისი საგალობლის შესრულება მსურდა. გახარებული ვარ, იმიტომ რომ ჩემი ოცნება ახდა. ეს ნამდვილად დიდი ბედნიერებაა. იცით როგორი გამოვედი საპატრიარქოდან? სრულიად ზეაწეული, თითქოს მოვფრინავდი. როგორი ძალა აქვს ჩვენს სულირ მამას, ასეთი რამ არც მინახავს ქვეყანაზე და არც არასოდეს მიგრძნია.

***– მანამდე პატრიარქს შეხვედრიხართ?***

– ერთხელ შევხვდი თეატრში. ახლა დიდხანს ვიყავი მასთან საპატრიარქოში. მიახლოებული ვიყავი მასთან და გვერდით რომ ვიდექი, საოცრება დამემართა. სულ სხვა პიროვნება გამოვედი საპატრიარქოდან. მართლა გაოგნებული ვარ.

***– როდის დაიწყებთ რეპეტიციებს?***

– ამ დღეებში უკვე დავიწყებ რეპეტიციებს.

***– საპატრიარქოში ივლით?***

– სამების ტაძრის მგალობელთა გუნდი ასრულებს ამ საგალობელს. მათთან ვივლი და ვირეპეტიციებ. მათთან ერთად მინდა გავაკეთო ეს საგალობელი. როგორც ვიცი, ქალს ეს საგალობელი არასოდეს შეუსრულებელია და ძალიან მაინტერესებს, როგორი გამოვა. საოცრად ვღელავ და ნერვიულობ. ჩემი შინაგარი ბუნების, ჩემი დიდი სურვილის, ჩემი დიდი სიყვარულის იმედი მაქვს. მჯერა, ჩემი ვოკალი ამას შემაძლებინებს. საოცარი ტექსტი აქვს, „დავილალე, მოდი ჩემთან უფალო“, სულ მაჟრჟოლებს ამ სიტყვებს რომ ვამბობ. ისე მოქმედებს ჩემზე, გაოგნებული ვარ.

# ჯაზის განვითარებაზე მასშტაბური მუშაობა იწყება

ეკა ირემაშვილი

საქართველოში ჯაზის განვითარებაზე აქტიური მუშაობა იწყება. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დარბაზში ხელი მოეწერა მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში ჯაზის განვითარებასა და პოპულარიზაციას. მემორანდუმს ხელი მოაწერეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორმა რეზო კიკნაძემ, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური მუსიკალური სკოლის „ნიჭიერთა ათწლედის“ დირექტორმა თამუნა შენგელიამ, კომპანია „ისთერნ პრომოუშენის“ დირექტორმა მიშა გიორგაძემ, კომპანია „ალიანსი საქართველოს“ დამფუძნებელმა და დირექტორმა მამუკა ცაგარელმა და კლუბის „ჯაზი საზღვრებს გარეშე“ დამფუძნებელმა მერაბ ლორთქიფანიძემ.

– ჩვენ საკმაოდ მნიშვნელოვან დოკუმენტს მოვაწერეთ ხელი. გაფორმდა დოკუმენტი საქართველოში ჯაზის პოპულარიზაციის კუთხით. ამ მემორანდუმის ინიციატორია „ჯაზი საზღვრებს გარეშე“ პროექტის ავტორი მერაბ ლორთქიფანიძე. პროექტის ფარგლებში 2007 წლიდან ჯაზის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა – ახალგაზრდა მუსიკოსების გაგზავნა ჯაზ-ფესტივალებსა თუ მასტერკლასებზე, საერთაშორისო ჯაზ-ფორუმში მონაწილეობა, ჯაზის კონცერტების მოწყობა ქართველი და მოწვეული უცხოელი მუსიკოსების მონაწილეობით და 2011 წლის გაზაფხულზე გახსნილი ამავე სახელწოდების ჯაზ-კლუბიც „ჯაზი საზღვრებს გარეშე“. ეს კლუბი სივრცეა როგორც უკვე შემდგარი, ჩამოყალიბებული პროფესიონალების, ისე ახალგაზრდა და დამწყები მუსიკოსებისთვისაც, სადაც ხდება სწორედ ის შემოქმედებითი გაცვლა და კომუნიკაცია, ურომლისოდაც ჯაზი, როგორც იმპროვიზაციისა და ინტერაქციის ხელოვნება, წარმოუდგენელია. ჩვენს მიერ გაფორმებული მემორანდუმი კი გააჩენს ინსტიტუციონალურ ბაზას იმისთვის, რომ სახელმწიფომ და კერძო სტურქტურებმა ერთად იმუშავონ ახალგაზრდებში, ერთი მხრივ, ჯაზის პოპულარიზაციის კუთხით,l მეორე მხრივ, ჩვენ უნდა დავიწყოთ განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისება. მათი წარმოჩენა დღევანდელ საზოგადოებაში უმნიშვნელოვანესია, – განაცხადა მემორანდუმის გაფორმებისას კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ.

გაფორმებული მემორანდუმი ითვალისწინებს კლუბის „ჯაზი საზღვრებს გარეშე“ სივრცე მთლიანად დაეთმოს ამ პროექტის ყველა ასპექტის განხორციელებას, პერმანენტული სახე მიეცეს კლუბში მოზარდთა პრაქტიკულ მეცადინეობას და რეპეტიციებს, რეგულარულად ჩატარდეს შემოქმედებითი საღამოები კონცერტებისა და ჯემ-სეიშენების სახით, გაიმართოს ვორკშოფები და მასტერკლასები როგორც ადგილობრივი, ისე მოწვეული

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# საქართველოს პატრიარქი წლის ადამიანია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ასაკობრივი ჯგუფი და სოციალური ფენა. ერთადერთი ნომინაცია, სადაც გამოკითხულებს თავისუფალ რეჟიმში შეეძლოთ თავიანთი რჩეულის დასახელება, „წლის ადამიანი“ იყო. სხვა ნომინაციებში კი ანკეტებში შეყვანილი იყვნენ წინასწარი რეიტინგული გამოკითხვით შერჩეული კანდიდატები. როგორც გასულ წელს, ორგანიზატორებმა გავეცით საპატიო „ოქროს პერგამენტიც, – განაცხადა ღონისძიების ორგანიზატორმა გოჩა მირცხულავამ.

„ოქროს პერგამენტის“ ორგანიზატორების განცხადებით, სულ გამოიკითხა 2986 რესპონდენტი თბილისიდან, კახეთიდან, ქვემო ქართლიდან, შიდა ქართლიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან, გურიიდან, მცხეთა მთიანეთიდან, აჭარიდან. გამოკითხვაში ჩაერთო როგორც სტუდენტი, ასევე პენსიონერი, დასაქმებული, თვითდასაქმებული, უმუშევარი.

სრულიად საქართველომ წლის ადამიანად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე დაასახელა. მის უწმინდესობას 2011 წლის „ოქროს პერგამენტი“ ღონისძიების ორგანიზატორმა გოჩა მირცხულავამ პირადად გადასცა. მან მადლობა გადაუხადა პატრიარქს გაწეული მოღვაწეობისათვის.

– პატრიარქი, რომელიც ოქროს პერგამენტით მეორედ ჯილდოვდება, უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს საქართველოს მოსახლეობაში. ეს არის ჩვენი თანამოქალაქეების მიერ თქვენ მიმართ მადლიერების სიმბოლური გამოხატულება,,, – აღნიშნა პატრიარქთან შეხვედრისას გოჩა მირცხულავამ.

ილია მეორემ მადლობა გადაიხადა „ოქროს პერგამენტით“ დაჯილდოვებისთვის და საქართველოს მოსახლეობასა და ოქროს პერგამენტის ყველა ლაურეატს წარმატებები უსურვა.

– ღმერთმა დაგლოცოთ. ჩემთვის ყველაზე ძვირფასი არის ის, რომ მე უნდა ვემსახურო ჩვენს ერს. ესაა ჩემი მიზანი, მეტი არაფერი. მოვუწოდებ პერგამენტის ყველა ლაურეატსა და ნომინატს, რომ მთავარ საზრუნავად სამშობლო და ადამიანი გაიხადონ. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვართ ქართველები, უნდა გვახსოვდეს საქართველო და უნდა ვზრუნავდეთ საქართველოსთვის. მე მახსენდება ჩვენი ილიას, წმინდა ილიას სიტყვები „მამული, ენა, სარწმუნოება“, მე ცოტა დავუმატე მას და ვთქვი „ღმერთი, სამშობლო და ადამიანი“. ყველაზე ძვირფასი ღვთის წინაშე არის სამშობლო და ადამიანი. ადამიანებს უნდა გავუფრთხილდეთ. ქართველი ხალხი უნდა დაბრუნდეს უცხოეთიდან. ქართველებმა უნდა იზრუნონ ჩვენს სამშობლოზე. სხვა ვერავინ ვერაფერს გააკეთებს. ჩვენ თვითონ უნდა ვუშველოთ ჩვენს თავს, – განაცხადა მისმა უწმინდესობამ.

საპატიო „ოქროს პერგამენტის“ მფლობელი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი გახდა.

– ნამდვილად გამორჩეულია ის საქმიანობა, რასაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და კონკრეტულად ნიკა ვაჩეიშვილი საქართველოს წარსულის თანამედროვეობისა და მომავლის წინაშე ეწევა. უარავი აღდგენილი ძეგლი, ეს არის საქართველოს ისტორიის გადარჩენილი ფურცლები, რომელიც ერთნაირად საამაყოა ჩვენი წინაპრების, თანამედროვეებისა და მომავალი თობისთვის. ჩვენ, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეები თავს მოვალედ ვთვლით დავინახოთ და დავაფასოთ ის დიდი საქმეები, რომელიც დღეს კეთდება და რომელიც თავისი შინაარსითა და სიდიადით ეკუთვნის სრულიად საქართველოს, – განაცხადა დაჯილდოების ცერემონიალის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა თეიმურაზ ჭუმბურიძემ.

წლევანდელი „ოქროს პერგამენტის“ მფლობელები გახდნენ – წლის ხელოვანი ზურაბ ლევაჟა მოთხრობისთვის „მაცივარი სექსისა წილ“, წლის ჟურნალისტი – ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტი ნოდარ მელაძე, წლის პოლიტიკოსი – ირაკლი ალასანია, წლის ბიზნესმენი – კომპანია „ვისოლის“ დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელი სოსო ფხაკაძე, წლის კომპანია – სადაზღვეო კომპანია „იმედი ელი“, წლის ბრენდი – კომპანია „გალფი“, წლის კომუნიკატორი – „კავკასუს ონლაინი“, წლის საუკეთესო პროექტებისთვის – გუდაურისა და აღმაშენებლის გამზირის პროექტებისთვის კი თბილისის მერი გიგი უგულავა დაჯილდოვდა.

## SMS-განცხადებები – 3090

- მუხრან-თელეთში 275 კვ.მ. საცხოვრებელი სახლის თეთრი კარკასი, მონტერეის გადახურვით, საკუთარი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, რკინის კარით და ჟალუზებით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით, თბილისიდან 20 კმ-ში, თელეთის ახალ ბაზართან 5 კმ-ში. შესაძლებელია განვადება. ფასი 30000 დოლარი. ტელ.: 790-55-58-62; 577-42-41-22. გიორგი.
- სოფ. ასურეთში 170კვ.მ გასარემონტებელი სახლი, 800კვ.მ მიწის ნაკვეთით, ხეხილით და ვაზის ტალავერით. ბოლო ფასი: 15000 დოლარი. ტელ.: 8-790-45-58-19, 832-2-45-58-19, 595-62-82-22.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა აკლდამის აღდგენასა და გამშვენებაში, დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით. შედით მენიუში: სხვადასხვა—საქველმოქმედო—ხობის მონასტერი.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

2012 წლის 10 იანვრიდან ყველა მობილური ოპერატორიდან (ბილაინის გარდა) და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900. ბილაინის აბონენტებს ზარის განხორციელება შეუძლიათ 20 იანვრიდან).




იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

- სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. დაგვიკავშირდნენ მხოლოდ მკურნალობის ახლავე დაწყების მსურველები. მომავლისათვის მკურნალობის მსურველები დაგვიკავშირდით მხოლოდ მომავალში. მიღება წინასწარი ჩაწერით. მისამართი: ქ.თბილისი, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. ტელ: 551-254-535 ბ-ნი ლევანი.
- წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# არმია უდანაკარგოდ ასრულებს

## ოლიმპი – არმია 62:63

(15: 18, 9: 20, 25: 16, 13: 9)

**ოლიმპი:** გამყრელიძე (16ქ,7მ,11პ), გულისაბედაშვილი, თავართქილაძე, მილუტინოვიჩი (12ქ,12მ), ბერიშვილი (2ქ,), სლიუკა (22ქ), ტუტუსი (3ქ,), ჰოგერი (7ქ,)

**არმია:** რიჩარდსონი (12ქ, 5მ), ბაბიაშვილი (10ქ, 5მ), ბოისა (2ქ), კვიმსაძე, ტომასი (12ქ, 8მ), შელბომი (8ქ, 8მ), ვუდსაიდი (9ქ, 6მ, 7პ), საყვარელიძე (10ქ, 9მ, 4პ)

მატჩი ღირსშესანიშნავი და უაღრესად სანახაობრივი გამოდგა, უაღრესად დაძაბულ და ემოციურ მატჩში საქართველოს მოქმედმა ჩემპიონმა ბოლო წამზე მინიმალური სხვაობით დაამარცხა სპორტის სამინიტროს გუნდი „ოლიმპი" – 63:62, რითიც მიმდინარე სეზონის პირველი წრე წაუგებლად დახურა და ზამთრის ჩემპიონობა გაინაღდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მატჩის საწყისი წუთები დაძაბულად წარიმართა. ანგარიში არმიელებმა გახსნეს, რომელსაც „ოლიმპის" ზედიზედ ორი 2-ქულიანი მოჰყვა – 4:2. მატჩის მეოთხე წუთზე ოლიმპელები 9:5 დაწინაურდნენ, თუმცა ათწუთეულის მე-5 წუთზე „არმიამ" ანგარიში ჯერ საყაიმო გახადა, შემდეგ კი წინ ქულით გავიდა – 10:9.

თუმცა, დებიუტანტებმა კვლავ იყოჩაღეს და პერიოდის დასრულებამდე 3:07 წუთით ადრე 4 ქულით გავიდნენ წინ – 14:10. პირველი მეოთხედის დარჩენილ დროში არმიელებმა მეტოქეს არ დაუთმეს და პერიოდის დასრულებამდე 1:10 წუთით ადრე 15:14 დაწინაურდნენ, ხოლო მეოთხედში სულაც 3 ქულით იმარჯვეს – 18:15.

მეორე პერიოდში დასაწყისში საქართველო მოქმედმა ჩემპიონმა კვლავ იაქტიურა და მოპოვეული უპირატესობაც კიდევ უფრო გაზარდა – 27:17. საბოლოოდ, მატჩის პირველ ტაიმი „არმიამ" 38:24 იმარჯვა და დიდ შესვენებაზე 14-ქულიანი უპირატესობით გავიდა.

მესამე მეოთხედში ძალოვნები თითქმის შეუჩერებელნი აღმოჩნდნენ და მე-5 წუთისთვის 15-ქულიან ჰანდიკაპს – 45:30. თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მესამე ათწუთეულის მეორე ნახევარში თამაში სრულიად გარდაიქმნა, ამ მომენტისთვის ოლიმპელები სულ სხვაგვარად ათამაშდნენ და მატჩში მნიშვნელოვანი გარდატეხა შეიტანეს. ნიკიცა სლიუკასა და ილიცა მილუტინოვიჩის აქტიურობის წყალობით დებიუტანტებმა სხვაობა ჯერ 7 ქულამდე დაიყვანეს, ხოლო მესამე პერიოდის დასასრულს კიდევ უფრო შეამცირეს – 49 :54.

დაძაბულად და ემოციურად დაიწყო გადამწყვეტი დასკვნითი მეოთხედი. „ოლიმპი" ნელ-ნელა ამცირებდა სხვაობას და ძირითადი დროის დასრულებამდე 3 წუთით ადრე ოლიმპელთა უკანახაზელმა ნიკიცა სლიუკამ ზუსტი სამქულიანი გაისროლა და არმიელთა საქულე უპირატესობა მინიმუმამდე დაიყვანა – 57:58.

ამის შემდეგ მატჩმა უდაძაბულესი სახე მიიღო – კალათბურთელები ნერვიულობდნენ და წუთნახევრის განმავლობაში ვერც ერთი და ვერც მეორე გუნდი ბურთის კალათში მოთავსებას ვერ ახერხებს. მატჩის დასასრულამდე წუთითა და 33 წამით ადრე საჯარიმო ხაზზე მიხეილ ბერიშვილი დადგა, რომელმაც „ოლიმპი" დააწინაურა –



59:58. არმიელი შელბომის შეტევის შემდეგ წინ ისევ არმიელები გავიდნენ. ოლიმპელთა მორიგი შეტევის დაასრულება გიორგი გამყრელიძეს არ გამოუვიდა, იგივე გაიმეორა ბენჯამინ ვუდსაიდმაც. სამაგიეროდ, სლიუკამ ზუსტად გაისროლა სამქულიანი და „ოლიმპი" წინ 2 ქულით გავიდა. „არმია" პირველი მარცხის წინაშე დადგა – მატჩის დასრულებამდე 8 წამი იყო დარჩენილი. არმიელთა დამრიგებელი კოტე ტუღუში წუთშესვენებას აიღო და ბოლო შეტევაც გამოიცნო – რიჩარდსონი ოლიმპელებმა უყურადღებოდ დატოვეს და სამქულიანი ზუსტად მოათავსა კალათში – 63:62.

„ოლიმპის" საუკეთო ნიკიცა სლიუკა გახლდათ, რომელმაც 22 ქულა მიითვალა და საკუთარ გუნდს თითქმის მთელი თამაში ღირსეულად ულიდერა. ორმაგი დუბლი შეასრულა ერთბაშად ორმა კალათბურთელმა – გიორგი გამყრელიძემ 16 ქულა და 12 შედეგიანი პასი მიითვალა, ხოლო ილიცა მილუტინოვიჩის ანგარიშზე 12 ქულა და ამდენივე მოხსნაა.

რაც შეეხება გამარჯვებულ „არმიას", მის რიგებში 12-12 ქულა ჯერემი რიჩარდსონმა და უილიამ ტომასმა მიითვალეს.

## სტუ – სოხუმი 94:74

(17: 13, 19: 22, 24: 21, 34: 18)

**სტუ:** თევზაძე, ჩაჩიბაია (20ქ), მაჩალაძე (13ქ), ხანიაშვილი (8ქ), კობიძე, დეკანოიძე, ძიძიგური (14ქ), კორძაძე, ბერუაშვილი (16ქ,11მ), ანთაძე (23ქ,8მ)

**სოხუმი:** როგავა, კანკია (1ქ), ჩლაიძე (9ქ), სორდია (11ქ), ათუაშვილი (8ქ,6მ), ფაცაცია (28ქ,12მ,5პ), გაფრინდაშვილი (7ქ,5პ), ქადარია (4ქ,10მ), ჯგერენაია (6ქ,6მ), ჯანაშია

განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა შეხვედრის პირველი ნახევარი, რომელიც ქულა-ქულაში წავიდა და საბოლოოდ ტექნიკოსთა მინიმალური უპირატესობით დასრულდა – 36:35. დრამატული გამოდგა მესამე მეოთხედიც, თუმცა ათწუთეულის მიწურულს სტუდენტები გააქტიურდნენ და შედეგიანი თამაშის წყალობით და 4 ქულის სხვაობით, 60:56 გავიდნენ წინ.

დასკვნითი მეოთხე მეოთხედი სტუ-ს სასარგებლოდ დაიწყო,რომელთა პეროდის მე-4 წუთზე სოლიდურ უპირატესობას მიაღწიეს – 66:56. მიუხედავად იმისა, რომ სოხუმელებმა ჩამორჩენა 5 ქულამდე შეამცირეს – 63:68, ტექნიკურმა უნივერსიტეტის გუნდმა მეტოქეს წინ გასვლის საშუალება არ მისცა და სოხუმი კვლავ მდევრის როლში დატოვა.

მატჩის ძირითადი დროის დასრულებამდე სტუ-მ მეტოქეს შანსი არ დუტოვა და შედეგიანი და შემტევი თამაშის წყალობით შეხვედრის დასრულებამდე 2:11 წუთით ადრე წინ – 83:68 გაიქცა.

რაც შეეხება მატჩს, მისი ბედი მეოთხედის მიწურულს საბოლოო გაირკვა – შეხვედრის დასრულებამდე 1:19 წუთით ადრე გაირკვა, სტუ-მ 20-ქულიან უპირატესობას უწია და ზედიზედ მეორე დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.

სოხუმელთა რიგებში ორმაგი დუბლით საუკეთესო ლევან ფაცაცია აღმოჩნდა, რომელმაც 28 ქულა და 12 მოხსნა მიითვალა, ხოლო ტექნიკოსებს 23 ქულით ზვიად ანთაძემ ულიდერა. 16 ქულითა და 11 მოხსნით ორმაგი დუბლი კი ვასილ ბერუაშვილმა შეასრულა.

## დინამო – თსუ 101:91

(24: 28, 20: 17, 26: 18, 31: 28)

**დინამო:** ბაქრაძე (11ქ, 4მ, 5პ), ლეჟავა (5ქ), სანაძე (26ქ, 4მ), მარხვაშვილი (5ქ), კეიდია (4ქ, 4მ), ალხანაიძე (2ქ), ჯანგველაძე (4ქ), სუხიშვილი (3ქ), ნოელი (14ქ, 10მ), კარტერი (27ქ, 8მ, 5პ)

**თსუ:** ბერიშვილი (20ქ), ფანჩულიძე (3ქ, 6მ), კორკოტაძე (5ქ, 4მ), მარკოიშვილი (15ქ, 8მ, 3პ), ნინიაშვილი (21ქ, 12მ), ჩიტაშვილი (20ქ, 9მ, 11პ), ხიზანიშვილი, შერმადინი (2ქ, 4მ), მაისურაძე (5ქ, 3მ), ჩქარეული

დაძაბულად წარიმართა მატჩის პირველი მეოთხედი, თავდაპირველად ანგარიში დინამოელებმა გახსნეს, თუმცა მთელი მეოთხედის განმავლობაში თსუ-მ იაქტიურა და პერიოდი 28:24 მოიგო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის სასარგებლოდ დაიწყო მეორე პერიოდიც, თუმცა „დინამომ" იაქტიურა და ტაიმიც – 43:45 მორჩა.

„დინამომ" დასკვნითი ჩინებულად ითამაშა და შეხვედრის ძირითადი დროის დასრულებამდე 1:17 წუთით ადრე მოპოვებული უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა, მეტოქე საბოლოოდ მაინც გატეხა და მატჩში დამაჯერებელი სხვაობით იმარჯვა – 101:91.

გამარჯვებულებს 27ქულით ქიენ კარტერმა ულიდერა, რომელსაც ქულით ჩამორჩა დუდა სანაძე(26ქულა) ხოლო 14 ქულითა და 10 მოხსნით ორმაგი დუბლი დეივ ნოელმა მიითვალა. თსუ-ს შემადგენლობაში ორმაგი დუბლი ერთბაშად ორმა მოთამაშემ მიითვალა – თორნიკე ნინიაშვილმა 21 ქულა და 12 მოხსნა დააგროვა, ხოლო მიხეილ ჩიტაშვილს სამმაგ დუბლამდე 1 მოხსნაღა დააკლდა – 20 ქულა, 11 პასი და 9 მოხსნა.

## რუსთავი – შსს 63:117

(18: 33, 9: 24, 19: 26, 17: 34)

**რუსთავი:** მაჭავარიანი (4ქ), გ. არაბული (8ქ), არწივიძე (10ქ), ბააკაშვილი (2ქ), ჩაჩანიძე (7ქ), ხმელიძე (12ქ), კოპალიანი (10ქ, 7მ), გუგავა (10ქ)

**შსს:** მაკქემონი (8ქ), ლაფანაშვილი (9ქ), ნიკოლაძე, ლონდარიძე (5ქ, 7მ), ლომოური (5ქ), თენიეშვილი (2ქ), ტუჯანი (6ქ,9მ), იმნაძე (6ქ,11მ,), ბლერი (32ქ,7მ,8პ,7ჩ), კრეპსი (23ქ), ბოქოლიშვილი (8ქ), სმიტი (13ქ, 6მ)

აღსანიშნავია, რომ შსს-მ ქვემოქართლელთა კალათში 117 ქულა ჩააგდო და წინა ტურში დამყარებული რეკორდი, (შსს-მ მე-10 ტურში თსუ-სთან მატჩში 113 ქულა დააგროვა) რომელიც ისედაც მას ეკუთვნოდა 4 ქულით გააუმჯობესა. რაც შეეხება შეხვედრას, იგი ძალოვანთა სრული უპირატესობით წარიმართა, რომელთაც ყველა კომპონენტში აჯობეს რუსთაველებს და იოლი გამარჯვება მიითვალეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდს 32 ქულით ლარი ბლერმა ულიდერა, ხოლო მასპინძელთა შემადგენლობაში ლევან ხმელიძე გამოირჩა, რომელმაც საკუთარ გუნდს 12 ქულა შესძინა.

## ბათუმი – ქუთაისი 80:107

(14: 32, 15: 20, 29: 26, 22: 29)

**ბათუმი:** ჩორგოლაშვილი, ვ. მაისურაძე (9ქ), რამიშვილი (10ქ,), მიქელაძე (17ქ,9პ), ელიაშვილი, ემირიძე, კეშელავა (26ქ,8მ), ნინუა (3პ), კოკობინაძე, ელიაძე (18ქ,10მ)

**ქუთაისი:** ფაშაევი (6პ), ბაბუნაშვილი (17ქ,), დიდია (21ქ,8მ,8პ), ცეკვავა (15ქ, 3პ), ტუკვაძე, დ. ბარბაქაძე (4ქ,), გ. ბარბაქაძე (16ქ,), კოლუაშვილი (2ქ), ქორიძე (4ქ), მათიაშვილი (28ქ,20მ,6პ,4დ)

მატჩის პირველ ნახევარში „ქუთაისი" შეუჩერებელი აღმოჩნდა, რომელიც დიდ შესვენებაზე დიდი უპირატესობით გავიდა – 52:29. მესამე მეოთხედში მასპინძლები გააქტიურდნენ, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. იმერლებმა ფაქტიურად მეტოქეს შანსიც არ დაუტოვეს და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს.

„ბათუმის" შემადგენლობაში 26 ქულით ლაშა კეშელავა გამოირჩა, ხოლო ორმაგი დუბლი ლევან ელიაძემ მიითვალა – 18 ქულა და 10 მოხსნა. ორმაგ დუბლამდე ერთი პასი დააკლდა ირაკლი მიქელაძეს, რომელმაც 17 ქულა და 9 შედეგიანი გადაცემა დააგროვა. გამარჯვებულებს კი რიჩარდ მათიაშვილმა ულიდერა, რომლის ანგარიშზეც 28 ქულა, 20 მოხსნა და 6 პასია.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.არმია | 10 | 10 | 0 | 895:628 | 20 |
| 2.ქუთაისი | 10 | 8 | 2 | 879:758 | 18 |
| 3.ოლიმპი | 10 | 8 | 2 | 799:715 | 18 |
| 4.შსს | 10 | 6 | 4 | 931:836 | 16 |
| 5.სოხუმი | 10 | 6 | 4 | 832:786 | 16 |
| 6.სტუ | 10 | 5 | 5 | 840:872 | 15 |
| 7.თსუ | 10 | 4 | 6 | 808:844 | 14 |
| 8.დინამო | 10 | 4 | 6 | 839:910 | 14 |
| 9.თსსუ | 10 | 3 | 7 | 843:892 | 13 |
| 10.ბათუმი | 10 | 1 | 9 | 736:905 | 11 |
| 11.სრუსთავი | 10 | 0 | 10 | 705:961 | 10 |

# გარსიას ბოლო მაისია

ბოლო დროს საკმაოდ ხმაურიანი საუბარი აგორდა თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელის, ესპანელი ალექს გარსიას გადადგომასთან დაკავშირებით. თუმცა, განვითარებული მოვლენებით, საქმეს სულ სხვა პირი უჩანს. როგორც „დინამოში" აცხადებენ, გარსია დაკავებულ თანამდებობაზე მუშაობას ახალი წლიდანაც გააგრძელებს. ამის შესახებ ეროვნული სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში შეკრებილ მასმედიას „დინამოს" სპორტულმა დირექტორმა გიორგი ნემსაძემ განუცხადა.

**გიორგი ნემსაძე:**

– გვინდოდა ერთხელ და სამუდამოდ გაგვეცა პასუხი ყველაფერზე, რაზეც ეჭვის დონეზე იწერებოდა. ცხადია, ნაჩვენები შედეგით კმაყოფილნი არ ვართ. გამომდინარე იქიდან, რა გათამაშების სისტემაც დაინერგა, დღევანდელი მდგომარეობით, ქულების გაყოფის გათვალისწინებით „ზესტაფონთან" 12-ქულიანი ჩამორჩენა გვექნება. გადაწყვეტილია, რომ ალექს გარსია მუშაობას გააგრძელებს. გუნდის გამოსვლის საერთო შეჯამება მომავალი წლის მაისის ბოლოს მოხდება.

***– ალექს გარსიას დატოვების მოტივი რა იყო?***

– კონკრეტისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებთ. იყო ბევრი ნიუანსი, რომლის გამო გადავწყვიტეთ, რომ გარსიას მუშაობა გაეგრძელებინა. მისთვის სამუშაოდ მიგვეცა გარკვეული ეტაპი, რომელიც ერთ ჩემპიონატს მოიცავს. უკმაყოფილო რომ ვიყავით, ეს მწვრთნელის შეცვლას არ ნიშნავდა. მინდა გითხრათ, რომ გუნდის მიერ ნაჩვენები თამაშის გამო, საკმაოდ მკაცრი საუბარი იყო ჩვენი პრეზიდენტის რომან ფიფიას მხრიდან.

***– ალექს გარსიას თაობაზე ბევრი მითქმა-მოთქმა იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ ის ესპანეთში ბოლო ტურში ჩატარებული თამაშის დასრულებიდან რამდენიმე საათში გაფრინდა. ეს წინასწარ იყო შეთანხმებული კლუბის ხელმძღვანელობასთან?***

– ყველამ ვიცოდით, რომ გარსია ესპანეთში მიფრინავდა. ეს რამდენიმე კვირით ადრე იყო დაგეგმილი. მასთან მნიშვნელოვან საკითხებზე შეთანხმებული ვიყავით.

***– რა ელოდება ახალი წლიდან „დინამოს"? თუ დატოვებს გუნდს რომელიმე ლეგიონერი და ახალი ფეხბურთელების შეძენა თუ იგეგმება?***

– გარსიას ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს და მის ნამუშევარს სეზონის ბოლოს შევაჯამებთ. ფეხბურთელების საკითხი მწვრთნელმა უნდა გადაწყვიტოს. ამაზე მე პასუხს ვერ გაცემთ.

***– თუ არის გადაწყვეტილი რომელიმე მოთამაშის ტრანსფერის საკითხი?***

– ჩვენ ამა თუ იმ ფეხბურთელის შესახებ ჩამოვყალიბდებით და შეკრების გავლის შემდეგ კონკრეტულად ვისაუბრებთ. მინდა გითხრათ, რომ ესენი იქნებიან ცნობილი სახეები, რომლებიც ქართველ გულშემატკივრებს გაახარებენ. ახლა ვერ დავკონკრეტდები.

***– გოგიტა გოგუასთან თუ შეთანხმდით საბოლოოდ?***

– გოგუასთან მოლაპარაკება თითქმის დასრულებულია, უბრალოდ გარკვეული პერიოდია საჭირო საბოლოო კონტრაქტის გაფორმებამდე.

***– კლუბში სატრანსფერო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი ვინაა? თქვენ, როგორც სპორტული დირექტორი, გენერალური დირექტორი ზურაბ პოლოლიკაშვილი თუ ალექს გარსია?***

– მწვრთნელი გვეუბნება, რომელ პოზიციაზე უჭირს გუნდს და აქედან გამომდინარე, ჩვენ მას ვთავაზობთ ფეხბურთელს. შემდეგ მწვრთნელი იღებს გადაწყვეტილებას და თუ ის დადებითია, შემდეგ ვიწყებთ მოლაპარაკებას. ყოფილა ისეთი ფაქტებიც, რომ თავად მწვრთნელმა შემოგვთავაზა რამდენიმე ფეხბურთელის კანდიდატურა.

***– როგორც ყოფილ ფეხბურთელს, ისე გკითხავთ და არა როგორც „დინამოს" ერთ-ერთ ხელმძღვანელს, ლეგიონერებიდან გუნდში თამაშს ყველა იმსახურებს?***



– ამაზე პასუხის გაცემა ახლანაადრევია, მაისის ბოლოს კონკრეტული პასუხი გვეცოდინება. ზოგიერთი ალბათ არ იმსახურებდა, მაგრამ ეს ჩემი სუბიექტური აზრია. რამდენიმე ფეხბურთელზე აზრი შემეცვალა – ზოგზე დადებითად, ზოგზე უარყოფითად.

***– ალექს გარსიას აქვს იმის რესურსი, რომ „დინამოს" თამაში შეცვალოს?***

– ვფიქრობ, რომ გარსიას აქვს რესურსი რადიკალურად შეცვალოს გუნდის თამაში. ბევრი რამ დასახვეწია. თუმცა, განვლილი ეტაპის მიხედვით, არ მიმაჩნია გამართლებულად, რომ მის გაშვებაზე ან არგაშვებაზე ვიმსჯელოთ.

***– ეთანხმებით ალექს გარსიას გამოთქმულ მოსაზრებას, რომ „ზესტაფონს" ამ ეტაპზე „დინამოზე" უკეთესი შემსრულებლები ჰყავს?***

– ბუნებრივია, ვეთანხმებით. მან ის თქვა, რაც ჩვენგან გაუგია.

***– საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა „დინამოს" მთავარ მწვრთნელ ალექს გარსიას სოლიდური ჯარიმა დააკისრა. კლუბს ამის შესახებ კომენტარი არ გაუკეთებია.***

**ლაშა დვალიშვილი, დინამოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი:**

– ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას არ ვაპირებთ. ჩვენ კიდევ მოგვივიდა 600-ლარიანი ჯარიმა მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის, რომელიც გუნდის მასაჟისტის სახელზე იყო გამოწერილი. ამის თაობაზე ფედერაციას საპასუხო წერილი მივწერეთ. მინდა გითხრათ, რომ არ შეიძლება საჯარიმო სანქციები მხოლოდ „დინამოზე" იწერებოდეს და ამან რეგულარული ხასიათი არ უნდა მიიღოს. არ დავაკონკრეტებ, მაგრამ არის გუნდები, რომელთა წარმომადგენლები გინებით გამოირჩევიან და მაშინ მთელი ბიუჯეტი საჯარიმო სანქციებში უნდა გადაიხადონ. ფეხბურთის ფედერაციიდან მივიღეთ წერილი მე-15 ტურში „ზესტაფონი"– „დინამოს" მატჩის დიდთოვლობის გადადების გამო. მასში ნათქვამია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომიტეტმა ჩემპიონატის დებულების დარღვევისთვის სიტყვიერი საყვედური გამოუცხადა საშეჯიბრო განყოფილების უფროსს ნოდარ კაკულიას. სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ ვიცე-პრეზიდენტები, ალექსანდრე ჩივაძე და გია ფირცხალავა, რომელთაც განაცხადეს, რომ კაკულიამ მატჩი ნაადრევად გადაიტანა.

# ვარდი 94 მილიონი გახდა

„ჩიკაგო ბულზის" ხელმძღვანელობამ და გუნდის ლიდერმა, დერიკ როუზმა ახალი კონტრაქტის დეტალები შეათანხმეს. ახალი ხელშეკრულება ხუთწლიანია, რომლის მიხედვითაც გასული სეზონის ყველაზე სასარგებლო მოთამაშე 94 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

უსიამოვნო ამბავი შეიტყვეს „ბოსტონ სელტიქსის" გულშემატკივრებმა: ამ გუნდის ერთ-ერთ ლიდერს პოლ პირსს უსიამოვნო ტრავმა აღმოაჩნდა.

ფორვარდმა ტერფის ძვალი ერთ-ერთი ვარჯიშის დროს დაიზიანა და სწორედ ამის გამო გამოტოვა წინასასეზონო შეხვედრა „ტორონტოს" წინააღმდეგ.

კლუბის ხელმძღვანელთა თქმით, პირსი, სავარაუდოდ, მოასწრებს სეზონის დაწყებამდე გამოჯანმრთელებას, მაგრამ „ბოსტონის" დამრიგებელი დოკ რივერსი შეშფოთებულია პოლის სათამაშო ფორმის გამო.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**პორტუგალია. თასი**

მოიერენსი-ნასიონალი ...... 2:2(5:6პ)

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ანვერნესი-აბერდინი ................. 2:1
სტ.მირენი-რეინჯერსი .............. 2:1
ჰართსი-მოზერველი .................. 2:0
დანდი-ჰიბერნიანი ..................... 3:1
დანფერმლაინი-სტ.ჯონსონი ..... 0:3
სელტიკი-კილმანროკი .............. 2:1

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

# მოსკოვი და ვაშინგტონი ბაშარ ასადის შემცვლელზე შეთანხმდნენ



მოსკოვი მზადაა, სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადსა და მის ოჯახს თავშესაფარი მისცეს.

„ნიუს.რუ“-ს ცნობით, რუსეთში ასადის შემცვლელიც უკვე იპოვეს და ეს საკითხი ამერიკასთანაც შეათანხმეს.

გამოცემის ინფორმაციით, რუსეთში ვიზიტისას სირიის ვიცე-პრეზიდენტ ფარუკ აშ-შაარის ბაშარ ასადის პოსტი შესთავაზეს.

გამოცემა „მაარივი“ კი წერს, რომ, მართალია, ვიცე-პრეზიდენტის მოსკოვში ვიზიტი გასაიდუმლოებული იყო, მაგრამ ორმა სარწმუნო პირმა გაზეთს აღნიშნული ფაქტი დაუდასტურა.

აშ-შაარი მოსკოვში ვიზიტისას საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს ესაუბრა. გამოცემა ასევე აღნიშნავს, რომ აშ-შაარი ამ პოსტს ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებამდე შეინარჩუნებს. რუსეთის არჩევანი იმით აიხსნება, რომ ფარუკ აშ-შაარი

ერთ-ერთი მხცოვანი და გამოცდილი სირიელი პოლიტიკოსია.

ამასთან, ბეჭდური მედია ხაზს უსვამს, რომ აღნიშნული საკითხი ამერიკასთან უკვე შეთანხმებულია, სადაც თანახმა არიან, ბაშარ ასადსა და მის ოჯახს მოსკოვმა თავშესაფარი მისცეს.

ებრაული მასმედიის მონაცემებით, რუსეთი და აშშ დიდი ხანია განიხილავენ მასშტაბურ გარიგებას, რამაც სირიაში სიტუაციის ნორმალიზაცია უნდა მოიტანოს.

ამ გარიგების ფარგლებში ბაშარ ასადმა ხელისუფლება ნებაყოფლობით უნდა გადასცეს პირს ან სტრუქტურას, რომლებიც ვაშინგტონსა და რუსეთს სრულად დააკმაყოფილებენ, ხოლო ამის შემდეგ ის დაუბრკოლებლად შეძლებს ქვეყნის დატოვებას.

შეგახსენებთ, რომ სირიის პრეზიდენტმა და უმაღლესმა მთავარსარდალმა ინტერვიუ მისცა ამერიკულ ტელეარხ „ეი-ბი-სი“-ს, რომელშიც განაცხადა, რომ არმიის მოქმედებებზე სერიოზულ ზემოქმედებას არ ახდენს.

ჟურნალისტის კითხვაზე, გრძნობს თუ არა პასუხისმგებლობას იმაზე, რომ სამხედროები მის თანამოქალაქეებს ხოცავენ, ასადმა უპასუხა:

– მე მხოლოდ პრეზიდენტი ვარ. ეს ქვეყანა არ არის ჩემი საკუთრება და მე არ ვარ ამ ჯარების პატრონი.

იმ შენაერთებზე საუბრისას, რომლებიც სირიის ქალაქებში ძალით ახშობენ გამოსვლებს, მთავარსარდალმა ბაშარ ასადმა კიდევ ერთხელ გაიმეორა:

– ისინი ჩემები არ არიან.

დააფიქსირა რა ჟურნალისტი ქალის გაოცება, მან განმარტა: – არის განსხვავება აჯანყების მკაცრად ჩახშობის სახელმწიფო პოლიტიკასა და იმ შეცდომებს შორის, რომლებსაც ცალკეული, განსაკუთრებით მოწადინებული მეთაურები უშვებენ. და ეს განსხვავება უზარმაზარია.

სირიაში გამოსვლები 2011 წლის მარტში დაიწყო. მას შემდეგ დაიღუპა 4 ათასზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე და ათასზე მეტი ჯარისკაცი და პოლიციელი.

ბოლო დროს ამბოხებულ მოსახლეობას შეუერთდა „სირიის თავისუფალი არმია“, რომელიც სირიის შეიარაღებული ძალებიდან გაქცეული დეზერტირებისგან არის დაკომპლექტებული.

ამის შემდეგ დაპირისპირებამ თანდათან სამოქალაქო ომის სახე მიიღო.

სირიის ხელისუფლება უკვე 8-9 თვეა ჯიუტად იმეორებს, რომ ებრძვის შეიარაღებულ ბანდებს, რომლებსაც მხარს სხვა სახელმწიფოები უჭერენ.

სხვათა შორის, სირიელმა მესაზღვრეებმა თურქეთის ტერიტორიიდან შეიარაღებული რაზმის გადასვლის საფრთხეც მოიგერიეს. ამ რაზმს, რომელშიც რამდენიმე ათეული კაცი შედიოდა, ორმხრივი სროლის შემდეგ თურქეთის სიღრმეში უკანდახევა მოუწია.

თურქეთი, ისევე, როგორც არაბული ქვეყნების უმრავლესობა და დასავლეთის სახელმწიფოები, გამოსვლების სისხლში ჩახშობის გამო ასადის რეჟიმს გაემიჯნა და მის წინააღმდეგ სანქციები შემოიღო. თუმცა, თურქეთი სირიის საქმეში შეიარაღებული ჩარევის წინააღმდეგია.

სირიის რეჟიმს უცხოეთში მხარს უჭერს მხოლოდ ლიბანში განლაგებული შიიტური დაჯგუფება „ჰეზბოლა“, ირანისა და ერაყის შიიტი ლიდერები, ასევე რუსეთისა და ჩინეთის ხელისუფლებები.

6 დეკემბერს ამერიკამ სირიაში დააბრუნა თავისი ელჩი რობერტ ფორდი, რომელიც, ოქტომბრის შუახანებიდან მოყოლებული, გაწვეული იყო დამასკოდან კონსულტაციებისათვის. ეს გაკეთდა მასზე თავდასხმებისა და მუქარების გამო. რობერტ ფორდმა სირიის ხელისუფლების გულისწყრომა დაიმსახურა ოპოზიციასთან კონტაქტებისთვის, პასუხად სირიამაც გაიწვია ელჩი ვაშინგტონიდან. რობერტ ფორდი ამერიკის პირველი ელჩია სირიაში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. ის ამ თანამდებობაზე იანვარში დაინიშნა.

რობერტ ფორდი ფლობს არაბულ ენას და არაბულ სახელმწიფოებში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს.

# რუსეთის შსს დღეისთვის „დამატებითი ძალების“ გამოძახებას არ აპირებს

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინიტრო 24 დეკემბერს მოსკოვში დაგეგმილი საპროტესტო აქციის მსვლელობისას საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად დამატებითი ძალების გამოძახებას არ გეგმავს.

შესაბამის ინფორმაციას რუსული სააგენტოები შინაგან საქმეთა სამინისტროზე დაყრდნობით ავრცელებენ.

– იმ ძალების გარდა, რომელიც აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად, დამატებითი ძალები გამოძახებული არ იქნება, – განუცხადეს რია ნოვოსტის სამინისტროში.

24 დეკემბერს მოსკოვში 50-ათასიანი საპროტესტო აქციაა დაგეგმილი. აქციის მონაწილეები სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შედეგებს გააპროტესტებენ.

აქციის ორგანიზატორებმა მიტინგის ჩატარებისთვის საჭირო თანხის შეგროვება უკვე მოახერხეს.

3 მილიონი რუბლი მათ ინტერნეტის საშუალებით შეაგროვეს. ოპოზიციას კანონის გათვალისწინებით ამ თანხის 13%-ის გადახდა სახელმწიფოსთვის მოუწევს.

ამასთან, ახალი ვიდეორგოლი „24-ში ყველანი მიტინგზე“ გავრცელდა, რომელშიც სუსტი სქესის წარმომადგენლებს 24 დეკემბერს სახაროვის გამზირზე მისვლისკენ ორიგინალური ფორმით მოუწოდებენ.

ერთწუთიან ვიდეოში საუბარია, რომ თვის დასაწყისში „ბალოტნაიას“ მოედანზე შეკრებილი დემონსტრანტების 70%-ს მამაკაცები შეადგენდნენ, მათი უმეტესობა 35-წლამდე ასაკის, თან შეძლებული, განათლებული და დასაოჯახებელი იყო.

ასეთი მონაცემების მქონე კლიენტურა რუსეთში არც ერთ გასაცნობ საიტს არ ჰყავს, ამიტომ კლიპის ავტორები ყველას, განსაკუთრებით ქალებს, სახაროვის გამზირზე მისვლისკენ მოუწოდებენ და აღნიშნავენ, რომ ბოლოს ასეთი შანსი მოქალაქეებს მხოლოდ 20 წლის წინ ჰქონდათ. ამავდროულად, გუშინ საღამოს ინტერფაქსის მიერ გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთის დედაქალაქის, მოსკოვის ცენტრისკენ სამხედრო ტექნიკის კოლონა მიემართებოდა, მათ შორის ჯავშანტექნიკა და სატვირთო მანქანები, რომლებშიც ჯარისკაცები იმყოფებოდნენ.

სააგენტოს ცნობით, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარი არ კეთდება.

სააგენტოსვე ინფორმაციით, აღნიშნულ მონაკვეთში ხანძარი გაუჩნდა ორ სატვირთო ავტომანქანას, თუმცა არ ზუსტდება აღნიშნილი ავტომანქანები კოლონის შემადგენლობაში იყვნენ თუ არა.

ხანძრის შედეგად დამწვრობა მიიღო ერთმა ადამიანმა, რომელიც სკილიფასოვსკის სახელობის კლინიკაში გადაიყვანეს.

– ხანძარმა 37-კილომეტრიანი საცობი გამოიწვია, – იუწყება სააგენტო.

# კათოლიკურ ეკლესიაში აფეთქების შედეგად 20 ადამიანი დაიღუპა



ნიგერიის დედაქალაქ აბუჯაში, ერთ-ერთ კათოლიკურ ეკლესიაში, ბომბის აფეთქების შედეგად ბევრი დაღუპული და დაჭრილია.

– დაღუპულია მინიმუმ 20 ადამიანი, – ამტკიცებს „ბი-ბი-სი“.

თვითმხილველების თქმით, ბომბი აფეთქდა ეკლესიის შუაგულში, რომელიც იმ დროისთვის მორწმუნეებით იყო სავსე.

დაზარალებულები ამჟამად საავადმყოფოებში არიან გადაყვანილი.

ზუსტი ციფრი დაზარალებულთა შესახებ არ არის ცნობილი, რადგან მაშველები დაღუპულებსა და სხვა დაშავებულებს ეძებენ.

ნიგერიის საგანგებო სიტუაციების სააგენტომ განაცხადა, რომ ტრაგედიის ადგილიდან ყველა დაჭრილისა და დაღუპულის ევაკუირებისთვის, საკმარისი რაოდენობის სასწრაფო მანქანები არ არის.

აფეთქება მაშინ მოხდა, როდესაც ნიგერიის არმიის ერთ-ერთი დანაყოფი სროლით აღნიშნავდა ჯონათან გუდლაკის გამარჯვებას საპრეზიდენტო არჩევნებში.

ცნობისთვის, ნიგერია 1914 წელს გახდა ბრიტანეთის კოლონია. 1960 წელს გამოცხადდა დამოუკიდებლობა, რასაც მოჰყვა კონფლიქტები სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის. 1967-70 წლებში ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში გამოცხადდა ბიაფრის რესპუბლიკა. ქვეყანას სამხედრო ტიპის ხელისუფლება მართავს.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# ჯაზის განვითარებაზე მასშტაბური მუშაობა იწყება

დასაწყისი მე-8 გვერდზე

მუსიკოსების მოწვევით, სადაც მოზარდები უფროსებთან ერთად დაუკრავენ და ეზიარებიან ჯაზის ხელოვნებას, კრიტიკოსებისა და მუსიკათმცოდნეების მიერ ჩატარდეს საუბრები, ლექციები და დისკუსიები ჯაზის ისტორიის, თეორიისა და ესთეტიკის საკითხებზე, ლიტერატურისა და აუდიო-ვიდეომასალის გამოყენებით.

– ბოლო ათწლეულების განმავლობაში ახალგაზრდობამ შეიძლება ისე ახლოს ველარ იყოს ჯაზთან. ამ ხელოვნების ბუმი გასული საუკუნიპს 50-60-იან წლებში იყო. ამ დოკუმენტის ხელმოწერით კი იწყება ზრუნვა იმაზე, ახალგაზრდჟებმა რამდენიმე მისასვლელი იპოვონ ჯაზთან, ისევ დაუბრუნდნენ ამ ღირებულ ხელოვნებას და ახლოს იყვნენ ჯაზის სამყაროსთან. ეს ნამდვილად მისასალმებელია, – განმარტა კონსერვატორიის რექტორმა რევაზ კიკნაძემ.

მემორანდუმით გათვალისწინებულია არსებული საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავება და ახლის დამყარება, კონტაქტების ძიება, ჯაზის მსოფლიო ასოციაციებსა და საგანმანათლებლო ორგანიზაციებში გაწევრიანება. მემორანდუმის წევრები შესაძლებლობის ფარგლებში, შეიტანენ თავიანთ წვლილს ამ იდეის განხორციელებაში, რათა ჯაზის ხელოვნებამ ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს ქართულ კულტურულ სივრცეში.

– მთელ მსოფლიოში ასეა – კონსერვატორიებში არსებობს ჯაზის კათედრები. საქართველოში ეს ახლა იწყება. თბილისშიც უკვე გაიხსნა კათედრა, გაჩნდა მოთხოვნილება ბავშვებზე, რომ გაიზარდონ ისე, როგორც საჭიროა. მათ ჯაზის სიყვარული თავიდანვე უნდა ჰქონდეთ შესისხლხორცებული. ეს მემორანდუმი იმის დასტურია, რომ საქართველოში მოქმედი სხვადასხვა მუსიკალური ორგანიზაციები ამ მშვენიერი მუსიკალური ხელოვნების – ჯაზის პოპულარიზაციისათვის გავერთიანდით. ეს პროექტი ღიაა ყველა მსურველი ორგანიზაციის თუ კერძო პირთათვის, ვისაც თავისი წვლილი შეტანა უნდა ჯაზის განვითარებაში, – განმარტა პროექტის „ჯაზი საზღვრებს გარეშე“ ავტორმა მერაბ ლორთქიფანიძემ.

# სკანვორდი



1. დედმამიშვილი; 2. ... მიცკევიჩი; 3. კითხვარი; 4. ჩანთოსანი დათვი; 5. ქალბატონი (ფრანგულად); 6. ... ხერგიანი; 7. ...-მატერი; 8. ამაღლებული ადგილი; 9. მდინარე კახეთში; 10. მაჰმადიანთა მოძღვარი; 11. ცდისაგან დამოუკიდებლად; 12. ბრინჯის არაყი; 13. წყვეტილად (მუსიკა); 14. პირველი ქალი; 15. ზმნის წარსული დრო; 16. პროსპერ ..., 17. ქალბატონი (გერმანულად); 18. აფროდიტეს სატრფო; 19. ვენეციელი მენავეების სიმღერა; 20. ჟარგონული მიმართვა; 21. პირის ღრუს თაღოვანი ნაწილი; 22. ხეთების ქალღმერთი; 23. ეგვიპტის ფარაონი; 24. კომში; 25. კურორტი ყირიმში; 26. 3.14; 27. საფეიქრო ბანანი; 28. კუნთის აღმნიშვნელი წინსართი; 29. ნარნარი ფრენა; 30. გიგანტური წიწვოვანი ხე; 31. საფუტკრე; 32. მაუგლის მეგობარი გველი; 33. სიგრძის ძველფრანგული საზომი ერთეული; 34. ღია მრუდი (მათემატიკა); 35. მარადმწვანე წიწვოვანი მცენარე; 36. ფუჭი, უნაყოფო.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. თაფლუჭი; 2. აფალინა; 3. ციხეგოჯი; 4. ვერიკო; 5. მაყვალი; 8. შარიათი; 9. ჩინეჩიტა; 12. ბოქსიორი; 13. პლატინი; 16. ხერთვისი; 17. ოლიმპია; 19. კვარცი; 20.კიუსიუ.

**თარაზულად:** 6. პაციფისტი; 7. ქეცბაია; 8. შტერნი; 10. სურდინა; 11. კაფი; 14. ხელბურთი; 15. ექსპერტი; 18. ბეტისი; 21. ვენეცია; 22. ქიმია; 23. ილიადა; 24. სიბელიუსი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ფარმაკოპეა; 2. ხახული; 3. შარიათი; 4. თლაშო; 5. ჰარვარდი; 6. ხარკი; 7. გეიმერი; 9. საბვეი; 13. სუფსა; 17. ქუჯი; 18. ოკა.

**თარაზულად:** 1. ფსირცხა; 3. შუამთა; 8. კარატე; 10. პუბლიკა; 11. ბარბი; 12. მოყვასი; 14. ჯოკერი; 15. ტყიბული; 16. დიქტი; 19. ნისანი; 20. დაუგავა; 21. ბოგირი.

# „ვალოდია, მადლობა, ნადი!“

მოსკოვში ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის, სერგეი უდალცოვის მხარდასაჭერად მორიგ საპროტესტო აქციას გამართავენ.

რუსული მედიის ცნობით, იმის გამო, რომ უდალცოვი ტვერის სასამართლოში გადაიყვანეს, „ახალ მოედანზე“ მისი მომხრეები მდუმარე აქციას გამართავენ.

– ეს იქნება მდუმარე მიტინგი სერგეი უდალცოვის მხარდასაჭერად, რომელსაც ისევ გასამართლებას უპირებენ, – წერს ბლოგერი რუსტემ ადაგამოვი სოციალურ ქსელ „ტვიტერში“.

უდალცოვი პოლიციისთვის დაუმორჩილებლობის ბრალდებით მოსკოვში ერთ-ერთ საპროტესტო აქციაზე რამდენიმე დღის წინ დააკავეს.

აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული 15-დღიანი სასჯელი დღეს იწურებოდა და იგი უნდა გაეთავისუფლებინათ, თუმცა, უდალცოვის ადვოკატის, ვიოლეტა ვოლკოვას ინფორმაციით, მის კლიენტს კიდევ ერთი ბრალდება წაუყენეს, რომლის განსახილველად სასამართლო სხდომა 28 დეკემბერს არის დანიშნული.



მანამდე კი მოსკოვში, სახაროვის გამზირზე მიმდინარე საპროტესტო აქცია ექსცესების გარეშე დასრულდა.

რუსეთის შსს-ს ინფორმაციით, პოლიცია მიტინგის მსვლელობაში მხოლოდ ერთხელ ჩაერია, თუმცა არავინ დაუკავებიათ.

სამართალდამცველი ორგანოების ცნობით, აქციაში 30 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა, თუმცა, მიტინგის ორგანიზატორების თქმით, მათი რიცხვი 120 ათასს შეადგენდა.

მიტინგს ქვეყნის ფინანსთა ყოფილი მინისტრი ალექსანდრე კუდრინიც შეუერთდა. ოპოზიციის ლიდერებთან ერთად სიტყვით საბჭოთა კავშირის ექს-პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვიც გამოვიდა.

მოსკოვის მერიას სანქცია 50 000 ადამიანზე 18:00 საათამდე ჰქონდა გაცემული.

რუსეთის დედაქალაქში უსაფრთხოების ზომები გაძლიერებულია. სახაროვის გამზირზე სამართალდამცველები და სამხედროები ამ დრომდე მობილიზებულნი არიან.

სამართლიანი არჩევნების მხარდამჭერი მიტინგი რუსეთის სხვა ქალაქებშიც გაიმართა, მათ შორის, ვლადივოსტოკში, ხაბაროვსკში, ნოვოსიბირსკში, ბარნაულში, კრასნოიარსკში, სამარაში, ნიჟნი-ნოვგოროდში, არხანგელსკში, ბრიანსკში, ვოლგოგრადში, დონის როსტოვსა და სანკტ-პეტერბურგში.

რუსეთის გარდა, მსგავსი აქციები პარიზში, ტოკიოსა და მსოფლიოს სხვა ქალაქებში გაიმართა.

შეგახსენებთ, რომ რუსეთში სათათბიროს არჩევნები 4 დეკემბერს გაიმართა. ოფიციალური ინფორმაციით, მასში მმართველმა პარტიამ „ედინაია რასიამ“ გაიმარჯვა.

ოპოზიცია კი მიიჩნევს, რომ არჩევნები გაყალბდა და შედეგების გაუქმების მოთხოვნით ისინი აქციებს პერმანენტულად მართავენ.

რუსი ექსპერტები და პოლიტოლოგები ქვეყანაში მოვლენათა განვითარების სცენარებს საჯაროდ განიხილავენ.

ცნობილი მწერალი ბორის აკუნინი-ჩხარტიშვილი, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს ოპოზიციას, გამოდის ინიციატივით, შეიქმნას საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც ოპოზიციის ყველა ლიდერი შევა.

მათ გამჭვირვალედ და ძალიან ღიად უნდა წარუდგინონ რუსეთის მთელ მოსახლეობას მომავალი სამოქმედო გეგმა, რადგანაც ხელისუფლებისადმი ულტიმატუმის ვადა იწურება.

აქციის მონაწილეებს აკუნინმა ორგანიზაცია „სამართლიანი რუსეთის“ შექმნა შესთავაზა.

მან ასევე კითხვით მიმართა მომიტინგეებს, უნდა გადადგეს თუ არა პრემიერი პუტინი, რაზეც მიტინგის მონაწილეებმა ერთხმად უპასუხეს – დიახ.

აქციაზე სიტყვით გამოვიდა ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ბორის ნემცოვიც. მისი თქმით, დღეს სახაროვის მოედანზე 100 ათასი ადამიანი მივიდა. ნემცოვმა მიტინგის მონაწილეებს განუცხადა, რომ სამართლიანი არჩევნებისთვის აქციები თებერვალში, საპრეზიდენტო არჩევნების წინ გაიმართება.

რაც შეეხება ყოფილ ფინანსთა მინისტრ ალექსანდრ კუდრინს, როგორც „ეხო მასკვი“ იუწყება, მან რადიოს პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ საჭიროა გადადგეს ცესკო-ს თავმჯდომარე ვლადიმერ ჩუროვი და ერთი წლის შემდეგ სახელმწიფო დუმის რიგგარეშე არჩევნები ჩატარდეს.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ხელისუფლება პოზიციების დათმობასა და შემხვედრი ნაბიჯების გადადგმას არ ჩქარობს.

– ჩვენ ვიყენებთ იმ შესაძლებლობებს, რაც გვაქვს. არსად გვიხსენებია სიტყვა „გაფიცვა“, არადა, ამის ორგანიზება შეიძლება, – აცხადებს პოლიტოლოგი დიმიტრი ორეშკინი.

ექსპერტები ასევე მსჯელობენ იმაზე, რომ მოსკოვში დაგეგმილ აქციებზე პუტინ-მედვედევის გადაყენების ლოზუნგიც გაჩნდება.

– ჩვენ გვაქვს მორალური უფლება, ჩვენს თავზე ავიღოთ პასუხისმგებლობა. ამისთვის კი ბევრი საშუალება გვაქვს, – განაცხადა მსჯელობისას ყოფილი საბჭოთა კავშირის პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა.

გორბაჩოვი რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინს პოლიტიკიდან წასვლისკენ მოუწოდებს.

– მე ვლადიმირ პუტინს ახლავე წასვლასა და მარტის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმას ვურჩევდი. სამი ვადა გამოუვიდა: ორი – საპრეზიდენტო, ერთი – პრემიერ-მინისტრის, უკვე საკმარისია, – განაცხადა გორბაჩოვმა და 1991 წელს პოლიტიკიდან წასვლის საკუთარი მაგალითი გაიხსენა.

– ისიც ასევე უნდა მოიქცეს. მაშინ დაცული იქნება ყველაფერი პოზიტიური, რაც მან გააკეთა, – დასძინა მან.

როგორც ცნობილია, გორბაჩოვმა რუსეთის პრეზიდენტი და პრემიერი დიმიტრი მედვედევი და ვლადიმერ პუტინი უკვე არაერთხელ გააკრიტიკა და განაცხადა, რომ მათ ქვეყანა ჩიხისკენ მიჰყავთ.

ცალკე საუბრის თემაა ის კრეატიული ლოზუნგები, რომლებიც სახაროვის მოედანზე იყო გამოფენილი. „ჯადოქარ“ ჩუროვის (ცესკოს თავმჯდომარე) პერსონა აშკარად უკანა პლანზე გადავიდა.

პლაკატების მთავარი თემა იყო კიპლინგი, პუტინი და პრეზერვატივები. პუტინი და კონტრაცეპტივები მიტინგის ერთ-ერთი ლაიტმოტივი გახდა.

ჯერ კიდევ მიტინგის დაწყებამდე ტვიტერის ვარსკვლავები გახდნენ ადამიანები, რომლებიც პრეზერვატივებს ამ პლაკატებთან ერთად არიგებდნენ – „არ მოგეწონა ერთი განდონი? აირჩიე მეორე!“.

ამ თემაზე მრავალრიცხოვანი ვარიაციებიდან გამოირჩეოდა ღია ცისფერი რაკეტა– პრეზერვატივი კოსმონავტ-პუტინთან წარწერით „წავედით“. აქვე იყო პრეზერვატივი წარწერით – „ჩვენ არ გვჭირდება ნახმარი პრეზიდენტი“.

ვიღაცამ უბრალოდ დაწერა – „ვალოდ, მადლობა, წადი“, ანდა „ჩვენ ვიცით, რომ შენ მესამეჯერ გინდა. მაგრამ უკვე თავი გვტკივა!“, ხოლო ვიღაცამ გაზრდილ საარჩევნო ბიულეტენზე უზარმაზარი ასოებით დააწერა – „პუტინ პაშიოლ ნა ხ“.

# აზერბაიჯანში უცხოური „საპნის ოპერები“ აკრძალეს

რამდენიმე თვეში აზერბაიჯანში უცხოური ტელესერიალების ჩვენება შეწყდება. ეს გადაწყვეტილება ტელერადიო მაუწყებლობის ნაციონალურ სხდომაზე მიიღეს.



სხდომის თავმჯდომარის, ნუშრევან მაგერამლის თქმით, აზერბაიჯანის ტელეარხებით უცხოური სერიალების ჩვენება 2012 წლის 1 მაისს შეწყდება.

– ასეთი გადაწყვეტილების მიზანი ეროვნული აზროვნების ჩამოყალიბებაა, – განაცხადა მაგერამლიმ.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აზერბაიჯანულ ტელეეთერში სამამულო ფილმების რაოდენობა და ხარისხი უნდა გაიზარდოს. მან უცხოური სერიალები გააკრიტიკა.

მაგერამლის აზრით, ისინი აზერბაიჯანის ეროვნულ და მორალურ ფასეულობებს არ შეესაბამება.

შეგახსენებთ, სექტემბრის დასაწყისში აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილხამ ალიევმა მხატვრული ფილმებისა და სერიალების გადასაღებად ბიუჯეტიდან 5 მლნ ევროს გამოყოფის განკარგულება გასცა.

ცნობისთვის, ტელესერიალი – მხატვრული ან დოკუმენტური კინონაწარმოებია, რომელიც მრავალი სერიისაგან შედგება და ტელეტრანსლაციისათვის არის განკუთვნილი.

ტელესერიალები პირობითად იყოფა: საპნის ოპერებად, ტელენოველებად, კლასიკურ ტელესერიალებად და მრავალსერიიან ტელეფილმად.

# უკრაინის პრემიერ-მინისტრი რევოლუციების წინააღმდეგია

უკრაინის პრემიერ-მინისტრი ნიკოლაი აზაროვი აცხადებს, რომ იგი კატეგორიულად წინააღმდეგია რაიმე სახის რევოლუციების. ლარი კინგისთვის მიცემულ ინტერვიუში ნიკოლაი აზაროვმა აღნიშნა, რომ უკრაინამ რევოლუციების ლიმიტი ამოწურა.



– ჩვენთან ცოტა ხნის წინ – 7 წლის წინ იყო რევოლუცია. ადამიანებმა იგრძნეს რა არის ეს. ცალკეულ პოლიტიკოსებს ახლაც სურთ რევოლუცია, მაგრამ მე რევოლუციის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, – განაცხადა აზაროვმა.

მისივე თქმით, 2004 წელს უკრაინა ევროპის ერთ ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყანა იყო, სადაც მნიშვნელოვნად იზრდებოდა მთლიანი შიდა პროდუქტი და ასევე ექსპორტი.

პრემიერმა აღნიშნა, რომ განვითარების ასეთი გაგრძელების შემთხვევაში 10 წლის განმავლობაში ქვეყანა იქნებოდა აბსოლუტურად განსხვავებული.

– 2004 წლის ბოლოს ჩვენთან ხდება ნარინჯისფერი რევოლუცია და ჩვენ 5 წლით უკან ვიხევით, – განაცხადა აზაროვმა.

ცნობისთვის, ნარინჯისფერი რევოლუცია იყო 2004-2005 წლების საპროტესტო გამოსვლებისა და პოლიტიკურ მოვლენათა სერია, რომელიც უკრაინის მასშტაბით განხორციელდა 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მასიური კორუფციის, ამომრჩევლებზე ზეწოლისა და პირადაპირი საარჩევნო გაყალბების საპასუხოდ.

სახალხო პროტესტს დასაბამი მისცა ადგილობრივ და უცხოელ დამკვირვებელთა ცნობამ საყოველთაო სახალხო აზრთან ერთად იმის შესახებ, რომ 2004 წლის 21 ნოემბერს ჩატარებული არჩევნების მეორე ტურში წამყვან კანდიდატებს შორის (ვიქტორ იუშენკო და ვიქტორ იანუკოვიჩი) ხმების რაოდენობა გაყალბებულ იქნა იანუკოვიჩის სასარგებლოდ.

მეორე ტური ჩატარებულ იქნა უკრაინის საარჩევნო კანონის შესაბამისად, ვინაიდან 2004 წლის 31 ოქტომბერს ჩატარებულ პირველად არჩევნებში ვერც ერთმა კანდიდატმა უმრავლესობის ხმა ვერ მიიღო (50%-ზე მეტი).

მეორე ტურის გამარჯვებული უნდა გამხდარიყო უკრაინის მესამე პრეზიდენტი 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად მიღებული დამოუკიდებლობის შემდეგ.

ნარინჯისფერი არჩეულ იქნა მოწინააღმდეგეთა მოძრაობის ოფიციალურ ფერად, ვინაიდან ეს იყო არჩევნებში ოპოზიციის მთავარი კანდიდატის, ვიქტორ იუშენკოს, ფერი. უკრაინაში იუშენკოს მხარდამჭერთა მოძრაობის სოლიდარობის სიმბოლო იყო ნარინჯისფერი ლენტა ან დროშა მოწოდებით „დიახ! იუშენკო!“. მთავარი მოვლენები კიევში განხორციელდა – რევოლუციის ცენტრი დედაქალაქში იყო მაიდანი (დამოუკიდებლობის მოედანი), რომლის შემოგარენიც 24-საათიან კარვების ქალაქად გადაიქცა. თუმცა პარალელურად აქციები ტარდებოდა მთელი ქვეყნის მასშტაბით მჯდომარე აქციებით, საპროტესტო გამოსვლებით, გაფიცვებით და ა.შ. რომელიც 21 ნოემბრის არჩევნებს მოჰყვა თან.

ოპოზიციის მოძრაობის ღონისძიებათა მასშტაბურობის წყალობით არჩევნების შედეგები ანულირებულ იქნა და უკრაინის უზენაემა სასამართლო 2004 წლის 26 დეკემბერს მეორე ტურის ხელმეორედ ჩატარებაზე დათანხმდა.

ხელმეორე არჩევნებმა ცხადყო იუშენკოს უპირატესობა, რომელმაც ამომრჩეველთა 52% მიიღო მოწინააღმდეგის 44%-თან მიმართებაში.

ამგვარად იუშენკო გამარჯვებულად ცნეს და ნარინჯისფერი რევოლუციის დაბოლოება იყო მისი საინაუგურაციო ცერემონია კიევში 2005 წლის 23 იანვარს.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*


## სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ნანული ლომაძე, შვილები კახა, პაატა, ირაკლი მიქელაძეები, და ნანი, ძმა ნოე, რძლები ნანა და ზაირა ლომაძეები ოჯახებით, ნანა ბარავკოვი, გვანცა რეხვიაშვილი, შვილიშვილები ანანო, დათა, ამირან მიქელაძეები, მძახლები მარინა გეწაძე, საშა ბარავკოვი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ამირან მიქელაძე**

პანაშვიდი: 25, 26 დეკემბერს, 16 საათზე;

გამოსვენება: 27 დეკემბერს, 14 საათზე, საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**


## TV პროგრამა

**ოთშაბათი 26 დეკემბეჲი**

**07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.45** ვ. სანაიას რეპორტაჟი **13.50** ქართ. ფილმი **"არასერიოზული კაცი" 15.30** ჩვენი სამართალი **17.00** ჩვენი ფერმა **17.30** ევროკავშირი და საქართველო **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"მეორე შანსი" 21.00** სერ. **"ნიკიტა" 22.00** აუდიტორია **23.00** საფეხბურთო მიმოხილვა **00.00** ღამის საუბრები **00.45** საფარი **01.15** მოამბე **01.35** მხ. ფილმი **"ანგარიშსწორება"** (ბ. აფლეკი) **03.45** მხ. ფილმი **"ამაო მცდელობა"** (18)

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** საბ. ფილმი **"ჯაშუში პარიეტი" 10.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.30, 17.45, 23.30** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **19.00** სერ. **"ელიტარული უბანი" 20.00** მხ. ფილმი **"დაკარგული ისაია" 21.30** დოკ. ფილმი "მწვანე გორგალი" **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"სუპერმენი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"როსალინდა" 11.00** სერ. **"კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** იღბლიანი ბორბალი (გან.) **17.00** სერ. **"ავრორა" 18.45** სერ. **"მიყვარხარ ლოლა" 19.45** სერ. **"სახლი მეზობლად" 22.00** კონცერტი "ტრიო სიმი" **00.00** შუა დღე **01.00** პატრული **01.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** ან. ფილმი **08.00, 09.00, 10.00** ქრონიკა **08.15** სერ. **"ჰანა მონტანა" 09.15** სერ. **"რობინზონ კრუზოს საოცარი თავგადასავალი" 10.05** სერ. **"მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **11.40** სერ. **"ქალის სიტყვა" 12.30** დღის შოუ **14.30** ტვმარკეტი **14.40** სერ. **"ეჰ, მეგობრებო"** 1-ლი ს. **16.00** სერ. **"შურისძიების საფასური" 17.40** სერ. **"ევა ლუნა" 19.05** სერ. **"ბედისწერის ძალა" 21.00** სერ. **"დამალული სიმართლე" 22.00** იმედის გმირები **00.00** მუს. ლიგა **01.30** მხ. ფილმი **"საქორწინო წველება"** (მ. დუგლასი) **03.30** მხ. ფილმი **"წერილები ჯულიეტასთვის"** (ა. საიფრიდი) **06.30** სერ. **"მარინა"**

**08.00** ანიმაცია "პრინცესა შეჰერაზადა" **08.55** სერ. **"ჩემი შეყვარებული" 10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვმარკეტი **12.15** სერ. **"ბარნუმი" 13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** პულსი **16.00** დოკ. ფილმი **17.10** სერ. **"ტყუპები" 18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"კოდი კოპერნიკი" 21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე" 22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა (გან.) **02.00** მხ. ფილმი

### ერთსულოვნება

**08.30** განთიადი **10.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი **"ლუკას სახარება" 13.30** კონცერტი– ჯანო ბაგრატიონი **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** სპექტაკლი **"გაგიმარჯოთ ყველას" 17.05** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** გაცოცხლებული წარსული **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.25** მხ. ფილმი **"ათოვდა ზამთრის ბაღებს"** 1-ლი ნ. **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** საღვთისმეტყველო საუბრები **22.25** დოკ. ფილმი "გოდერძი ჩოხელი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "წერილი ნაძვებს" **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**26 დეკემბერი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6613

ევრო —2,2702

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208

რუსული რუბლი — 0,057

*აღმოსავლეთ საქართველო:* ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 13–15, ღამით — 4–7

*დასავლეთ საქართველო:* ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 11–17, ღამით — 9–13

*სამხრეთ საქართველო:* ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 3–12, ღამით — -9–2

## ამინდის პროგნოზი 26 დეკემბრისთვის





# მ ა ლ ე ! მ ა ლ ე ! მ ა ლ ე !

## გაზეთი „ახალი თაობა“ გთავაზობთ საშობაო-საახალწლო აქციას

# წიგნი 1 ლარად

## „ახალი ქართული პროზა“

## 16 ტომი


## თბილისის ევროპას საერთაშორისო ფედერაცია გადაწყვეტს

**23 დეკემბერს, სპორტის სასახლეს ჭიდაობის ფედერაციის დელეგატი ახროლჯან რუზიევი ეწვია და მოედანი და გასახდელები დაათვალიერა. თბილისი 2013 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის კანდიდატია და რუზიევი თბილისს, როგორც მასპინძელი ქალაქის ევროპის ჩემპიონატისთვის მზადყოფნას აფასებს.**



საერთაშორისო ფედერაციის დელეგატმა სპორტის სასახლის გარდა ის სასტუმროები მოინახულა, სადაც სპორტსმენებმა და მსაჯებმა უნდა იცხოვრონ. სპორტის სასახლეში რუზიევს მასპინძლობა ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა კახა გეწაძემ და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილეებმა დავით ნამგალაურმა და გიორგი გალდავამ გაუწიეს.

**კახა გეწაძე:**

— რუზიევმა დაათვალიერა სასტუმროები „თბილისი მერიოტი“, „ჰოლიდეი“-ინი, „ბაზალეთი“. შეაფასებს სპორტის სასახლესაც და იმედი მაქვს, რომ ჩვენთვის სასურველ დასკვნას დადებს, რაც იმის წინაპირობა გახდება, რომ 2013 წელს ევროპის ჩემპიონატს თბილისი უმასპინძლებს.

**ახროლჯან რუზიევი:**

— საქართველო ჭიდაობის ტრადიციული ქვეყანაა და ლოგიკურია, რომ 2013 წელს ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა სურს. თუმცა უნდა ითქვას, რომ თქვენს ქვეყანას სეროზული კონკურენტები ჰყავს, მაგალითად, ბულგარეთი, უნგრეთი, უკრაინა. მთლიანობაში 8 ქვეყანაა, საიდანაც ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა უნდა გაირკვეს. ვნახოთ, საერთაშორისო ფედერაცია ყველა კანდიდატ ქვეყანას შეაფასებს და მასპინძლობის უფლებას საუკეთესოს არგუნებს.

**გიორგი გალდავა:**

— ჭიდაობის ფედერაციამ სამინისტროსთან შეთანხმებით შეიტანა განაცხადი ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობაზე. კონკურენტები საკმაოდ ძლიერები გვყავს, თუმცა იმედი მაქვს, რომ საერთაშორისო ფედერაცია გაითვალისწინებს იმ ტრადიციებს და წვლილს, რომელიც ქართულ ჭიდაობას ზოგადად ჭიდაობის განვითარებაში აქვს შეტანილი და თბილისს ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებას მისცემს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ა

**თარაზულად:** 5. ძვირფასი ქვა; 6. ლექციების წასაკითხი ოთახი; 9. კვანძი; 10. პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელი; 11. საგრილობელი; 13. სრული მარცხი; 15. ომონიმებით გარითმული ლექსი; 18. რამდენიმე ქვემეხის ერთდროული გასროლა; 21. წელიწადის დღეების აღრიცხვის სისტემა; 22. საბრძოლოდ გამზადებული ჯარის ნაწილი; 23. ვერცხლისწყალი.

**შვეულად:** 1. „კუკარაჩას“ პერსონაჟი; 2. ახლადამოსული ბეწვი; 3. სამხედრო-საზღვაო ჯარების მეთაური; 4. ნავიგაცია; 7. თავშესაფრის არმქონე; 8. ჩასაბერი საკრავი; 12. ეკლიანი ხეხილი; 14. ნადი; 16. ქორ-შევარდენის დამგეშავი; 17. კოლექტიური გასეირნება ქალაქგარეთ; 19. ღირებულება; 20. ხემიანი საკრავი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*




## ასტროპროგნოზი 26 დეკემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **ტყუპები** — ნუ აჩქარდებით, დღეს არ ღირს. **კირჩხიბი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე. მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ლომი** — ნუ აყვებით სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **ქალწული** — ყურადღების ცენტრში ყოფნა გსიამოვნებთ. **სასწორი** — გზიდან ვილაც ჩამოდის და თქვენთვის კარგი ამბავი ჩამოაქვს. **ღრიანკალი** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **მშვილდოსანი** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამაზე. **თხის რქა** — საქმე ბილომდე მიიყვანეთ, არ იზარმაცოთ. **მერწყული** — ფულის პრობლემა არ გაქვთ, კიდევ იშოვით. **თევზები** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი



— ეს სპექტაკლი ნანახი მაქვს. გირჩევთ, მეორე აქტის შემდეგ წახვიდეთ.

— რატომ მეორის შემდეგ?

— პირველი აქტის შემდეგ გარდერობში დიდი თავპირისმტვრევაა ხოლმე...

* * *

— მამიკო, ათი თეთრი მომეცი.

— რად გინდა?

— იქნებ შეგრცხვეს, რომ შენს შვილს ჯიბეში მხოლოდ ათი თეთრი აქვს...

* * *

ორი ტიპი საუბრობს:

— იცი, ჩემს შვილს მერსედესი დავარქვი.

— რა სულელი ხარ!

— სამაგიეროდ, მერსედესი მყავს...

*გ. თ.*

## საქართველოს პატრიარქი წლის ადამიანია

*ეკა ირემაშვილი*

კომპანია ბაგრატიონი 1882-ის დარბაზში ყოველწლიური ტრადიციული დაჯილდოების ცერემონიალი „ოქროს პერგამენტი“ გაიმართა. საზეიმო ცერემონიალი მისი ორგანიზატორების მიერ უკვე მეექვსედ ჩატარდა. საუკეთესოები 12 ნომინაციაში დასახელდნენ. მათგან ერთი კანდიდატის დასახელება ნომინაციაში „წლის ადამიანი“ გამოკითხულ ადამიანებს დამოუკიდებლად შეეძლოთ. წლევანდელი წლის ადამიანებისა და კომპანიების კანდიდატების სია ასე გამოიყურებოდა: წლის პოლიტიკოსი — ირაკლი ალასანია, დავით გამყრელიძე, გიორგი თარგამაძე, დავით უსუფაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი. წლის ბიზნესმენი — ვახტანგ ბუცხრიკიძე, ირაკლი გილაური, ვლადიმერ გურგენიძე, პაატა კურტანიძე, გიორგი რამიშვილი, სოსო ფხაკაძე. წლის ხელოვანი — ლიზა ბათაიაშვილი (სენ-სანსის და ბიზეს სავიოლინო ნაწარმოებების შესრულებისთვის), ნინო ბურდული (სპექტაკლისთვის „ლივ შტაინი“), ზურაბ ლეჟავა (მოთხრობისთვის „მაცივარი სექსისა წილ“), ალეკო ცაბაძე (ფილმისთვის „რენე მიდის ჰოლივუდში“), ნინო ხარატიშვილი (სპექტაკლისტვის „ლივ შტაინი“). წლის ჟურნალისტი — ეკა ბერიძე, პაატა იაკობაშვილი, ეკა კვესიტაძე, ნოდარ მელაძე, დავით პაიჭაძე, ეკა ხოფერია, ელისო ჩაფიძე. წლის სპორტსმენი (გუნდი) — მერი არაბიძე, მამუკა გორგოძე, ლევან კობიაშვილი, დავით მარსაგიშვილი, ვიქტორ სანიკიძე, საქართველოს მორაგბეთა ნაკრები, საქართველოს საკალათბურთო ნაკრები. წლის პროექტი — ანაკლია, მესტია, გუდაური, „ქეთო და კოტე“, ალმაშენებლის გამზირი. წლის კომპანია — ავერსი, გუდვილი, ვისოლი, იმედი ელი, ისთერნ პრომოუშენი, კავკასუს ონლაინი, საქართველოს ბანკი, საქართველოს ლატარიის კომპანია, „სილქროუდ ჯგუფი“, პე-ეს-პე. წლის ბრენდი — „ბერტა“, „ბარამბო“, „გალფი“, „სმარტი“, „ჰოლიდეი ინ“. წლის კომუნიკატორი — ბილაინი, კავკასუს ინლაიანი, მაგთი, სილქნეტი, ჯეოსელი. წლის უცხოური კომპანია — მაერსკი, მობიფეი, რაკინი, რომპეტროლი, სოკარი, ჰაიდელბერგი, შატო მუხრანი.



— შევეცადეთ მოგვეცვა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი. გამოიკითხა ყველა


**გაგრძელება მე-8 გვერდზე**